



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



საქველმოქმედო
ჰუმანიტარული
ცენტრი
აფხაზეთი



ადგილობრივი თვითმმართველობის მოსახლეობა გზამკვლევი

**„ადგილობრივ დონეზე საჯარო საქმისა და
არასამართლებო იურიდიულ პირებს შორის
თანამშრომლობის მექანიზმები
სოციალური მომსახურების სფეროში“**

ავტორი
ირაკლი მხეიძე

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

შესავალი	4
1. სოციალური მომსახურების სფეროში არასამხარამო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან თანამშრომლობის უპირატესობები	6
2. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები	11
3. სახელმწიფო შესყიდვები და გამონაკლისები	18
3.1. ზოგადი ინფორმაცია.....	18
3.2. სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები და გამონაკლისები „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან.....	21
3.3. ვაუჩერის გამოყენებით სოციალური მომსახურებების შესყიდვის მუნიციპალური მაგალითები	27
3.3.1. შინმოვლის დაფინანსება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ.....	28
3.3.2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში უფასო სწავლების დაფინანსება.....	34
3.3.3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის დაფინანსება	38
3.3.4. ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამა	42
3.3.5. ვაუჩერული დაფინანსების პრინციპები და კარგი პრაქტიკის საფუძვლები.....	47
4. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ და სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) ფორმები	49
4.1. სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) ფორმები	49
4.2. სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) მუნიციპალური მაგალითები.....	55
4.2.1. სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით.....	55
4.2.2. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების გაცემის მუნიციპალური მაგალითები	60

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

5. პროექტული თანადაფინანსება - პროექტის კომისიური დაფინანსება საკრებულოს ნორმატიული აქტის საფუძველზე	67
5.1. პრაქტიკის ზოგადი აღწერა	67
5.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების და მონყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების პროექტების თანადაფინანსების პროგრამა	68
5.3. თბილისის მიერ დაფინანსების გაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში.....	73
6. მუნიციპალიტეტებისა და არასამხარამო იურიდიული პირების მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელება თანადაფინანსების საფუძველზე.....	79
6.1. პრაქტიკის ზოგადი აღწერა	79
6.2. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა	79
6.3. თბილისის მიერ სოც. დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის დაფინანსება	84
7. შპმ პირების დახმარების დაფინანსება	86
7.1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი მიმოხილვა	86
7.2. თბილისის მიერ შპმ პირთა დახმარების დაფინანსება.....	88
7.3. მცხეთის მიერ შპმ ბავშვების დახმარება და დღის ცენტრის დაფინანსება	92
8. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მექანიზმები	92
შეჯამება.....	101

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამართლის და არასამმართველო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

შესავალი

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია არბაიტერ-სამართალ ბუნდის საქართველოს წარმომადგენლობის (ASB Georgia) დაკვეთით, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით განხორციელებული პროექტის - “პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად” ფარგლებში. პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში.

გზამკვლევის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ინფორმირება სოციალური მომსახურების სფეროში თანამშრომლობის სამართლებრივი და პრაქტიკული მექანიზმების შესახებ. ასევე, საქართველოში ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის განხილვის გზით, მათთვის რეკომენდაციების მიცემა, რომლებიც მათ დაეხმარება შეიმუშავონ, დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი პროგრამები მოწყვლადი ჯგუფების წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად.

გზამკვლევის მზადების პროცესში ერთი მხრივ, შესწავლილი იქნა ცენტრალური მარეგულირებელი აქტები, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციებს განსაზღვრავს სოციალური მომსახურებების დაფინანსების სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, გამოკვლევულ იქნა ამ კანონების საფუძველზე მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა. ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი ნორმატიული აქტების განხილვის გზით, გზამკვლევაში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები აღნიშნული სამართლებრივი აქტების ადგილებზე იმპლემენტაციის გზებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების თვალსაზრისით.

გზამკვლევაში განხილულია სოციალური მომსახურებების დაფინანსების სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმები, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საშუალებები და გამონაკლისები, როდესაც, ამა თუ იმ, მომსახურების დაფინანსებაზე არ ვრცელდება ამ კანონის მოთხოვნები. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი განათლების, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურებების ვაუჩერული დაფინანსების წესია. ამ თვალსაზრისით, გზამკვლევაში, ასევე მოცემულია ვაუჩერული დაფინანსების მუნიციპალური მაგალითები და ის პრინციპები, რომლებსაც მუნიციპალიტეტები ამ შემთხვევაში უნდა დაეყრდნონ.

გზამკვლევი, ასევე მიმოიხილავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონს და ამ კანონით დადგენილ სუბსიდირების (სახელმწიფო დახმარების) წესებს. ამ კონტექსტში მოცემულია რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური მომსახურებების სუბსიდიის გზით დაფინანსების მაგალითები და ისინი შეფასებულია სამართლებრივ ქრილში.

კიდევ ერთი კანონი, რომელიც განხილულია სოციალური მომსახურებების დაფინანსების ასპექტში, არის „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს ახლადმოქმედებული კანონი. ეს სამართლებრივი აქტი მრავალფეროვან საშუალებებს ქმნის საჯარო სტრუქტურებსა და არასამმართველო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობისათვის, მათ შორის, სოციალური მომსახურების სფეროში. განსაკუთრებით მოქნილი მექანიზმი ამ კანონით გათვალისწინებული „მცირე პროექტების“ დაფინანსების შესაძლებლობაა, რომელიც ძალიან ეფექტიანად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუნიციპალიტეტებისა და ა(ა)იპ-ების მიერ.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარშემო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

გზამკვლევი ასევე განხილულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამების საუკეთესო პრაქტიკა და დარგობრივი კანონი, რომელიც შშმ პირების საჭიროებათა გადანაცვებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობების დამატებით კომპეტენციებს განსაზღვრავს. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი მიმოხილვისა და შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების განხილვის გზით, გზამკვლევი აღწერილია ის საბაზისო პრინციპები, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ამ სფეროში პროგრამების დაგეგმვისას ეყრდნობიან.

საქართველოს მუნიციპალიტეტებში ასევე არსებობს პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, ადგილობრივი თვითმმართველობები სოციალურ მომსახურებებს აფინანსებენ ე.წ. „პროექტული თანადაფინანსების“ ფორმით. ასეთი დაფინანსების მექანიზმებს, ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს გარდა, ხშირ შემთხვევაში, საფუძვლად ედება მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამები და საკრებულოს მიერ დამტკიცებული ამ პროგრამათა განხორციელების წესები. ხშირ შემთხვევაში, პროექტული დაფინანსება ხორციელდება საკრებულოს ან მერიის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, თუმცა, ასევე გვხვდება შემთხვევები, როდესაც გადანაცვებილება მერის ან მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მიიღება. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ასეთი პრაქტიკის სხვადასხვა მაგალითი, რომლებიც დაფინანსების სხვადასხვა მეთოდოლოგიასა და კრიტერიუმს იყენებს. ამ პრაქტიკის საფუძველზე, მოცემულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც მუნიციპალიტეტებმა ამ დროს უნდა იხელმძღვანელონ.

დასასრულს, გზამკვლევი მოცემულია მუნიციპალიტეტების მიერ სოციალური მომსახურებების განხორციელების ისეთი მაგალითები, როდესაც ასეთი მომსახურებები მუნიციპალიტეტებისა და არასამხარშემო იურიდიული პირების მიერ, ერთობლივად, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ხორციელდება.

ცენტრალური და ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოსა და საქართველოს მუნიციპალიტეტებში მოქმედი პრაქტის გაცნობისა და განხილვის შედეგად, გზამკვლევის მომხმარებლებს გაუადვილდებათ შეიმუშავონ, დაგეგმონ, დააფინანსონ და განახორციელონ მონყვლადი ჯგუფების მხარდამჭერი ადგილობრივი პროგრამები.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

1. სოციალური მომსახურების სფეროში არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან თანამშრომლობის უპირატესობები

საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მომსახურებების განვითარების ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები იყენებენ, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ დაწესებულებებს (თავშესაფრები, პანსიონატები, უფასო სასადილოები და სხვ.), ასევე აფინანსებენ არასამეწარმეო ორგანიზაციებსა და მენარმე სუბიექტებს.

სოციალური მომსახურებების სფეროში საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა საქართველოში საბჭოთა მემკვიდრეობის ინერციით არის განპირობებული, თუმცა, საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, შეინიშნება აღნიშნულ სფეროში კერძო სამართლის სუბიექტების ჩართვის მზარდი ტენდენცია.

დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში არსებობს ფართო კონსენსუსი იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები (სსო) სოციალური მომსახურებების სფეროში გაცილებით ეფექტიანები არიან, ვიდრე სახელმწიფო და ბიზნეს-სექტორი. იმ სახელმწიფოთა უმრავლესობა, რომლებიც საკუთარი ფუნქციების ნაწილს თმობს სოციალური მომსახურების დარგში, ძირითადად, საზოგადოებრივ ორგანიზაციების სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს, ინფრასტრუქტურის მართვის დარგში კი, კომერციულ სანარმოებს ანიჭებს უპირატესობას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სოციალური მომსახურებების მიწოდების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არის ის, რომ ასეთ საქმიანობას არასამთავრობო ორგანიზაციები განიხილავენ საკუთარი მისიისა და მიზნების მთავარ მიმართულებად. მათი ფუნქცია და საქმიანობის ძირითადი მიზანი სწორედ მოწყვლადი ფენების დახმარება და კონკრეტული საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაა. შესაბამისად, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფრო მოტივირებულნი არიან საკუთარი მისიით, რის შედეგადაც, მათ მიერ ამ სფეროში გაწეული მომსახურება, უკეთესი ხარისხისაა.

სოციალური მომსახურებების სსო-ებისგან შესყიდვის უპირატესობები, ზოგადად, შეიძლება დაყოფილ იქნეს 2 ძირითად მიმართულებად:

ა) არასამეწარმეო ორგანიზაციებს გარკვეული უპირატესობა აქვთ კომერციულ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან შედარებით და შესაბამისად, ამ სფეროში მათ მიერ წარმოებული მომსახურებები უკეთესი ხარისხისაა.

ბ) სოციალური მომსახურებების არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის გადაცემამ შეიძლება მნიშვნელოვნად დაზოგოს სახსრები;

სოციალური მომსახურების დარგში საზოგადოებრივი ორგანიზაციების უპირატესობას, პირველ ყოვლისა, განაპირობებს მათი საქმიანობის სპეციფიკა:

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

ისინი, როგორც კომერციულ, ასევე საჯარო სტრუქტურებთან შედარებით, უკეთეს პოზიციაში არიან, უმთავრესად, იმის გამო, რომ მათი საქმიანობა უკავშირდება მონყვლად ჯგუფებზე მზრუნველობას.

სსო-ებს სოციალურ საკითხებთან მუდმივი შეხება აქვთ და სოციალური დახმარებებისა და მომსახურებების მიმღებ ბენეფიციარებთან ყოველდღიურად, სათემო დონეზე მუშაობენ. მათი ადგილობრივ დონეზე ჩართულობა და მონყვლადი ჯგუფების პრობლემებისა და იმ საკითხების სიდრმისეული ცოდნა, რომელთა გადაწყვეტასაც სოციალური მომსახურებები ისახავს მიზნად, ამ ორგანიზაციების ეფექტიანობისა და წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია.

ამასთანავე, სსო-ებს, ხშირ შემთხვევაში, უფრო ადრე უნევთ შეხება ადგილობრივ დონეზე არსებულ გამონყვევებთან და შესაბამისად, უფრო ადრე შეისწავლიან ასეთ პრობლემებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს. მეტიც, იმის გამო, რომ ისინი უფრო მეტად იცნობენ ადგილობრივ კონტექტს, მათ შეუძლიათ უფრო კარგად განსაზღვრონ საჭირო ინტერვენციის ფორმა, უფრო ეფექტურად დაგეგმონ რესურსები და უკეთ განსაზღვრონ ის მომსახურებები, რომლებსაც აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტისთვის არის აუცილებელი.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისიც, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონყვლადი ჯგუფების მხრიდან სარგებლობენ ნდობის უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე სახელმწიფო და სამეწარმეო სექტორი. შესაბამისად, ისინი უფრო კარგად იცნობენ ინდივიდუალური ბენეფიციარების საცხოვრებელ გარემოს, პირობებსა და სირთულეებს.

დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს ის, რომ ხელისუფლების ორგანოები სოციალური პროგრამების დაგეგმვისას კონსულტაციებს გადიან სსო-ებთან, ვინაიდან ასეთი ორგანიზაციები უფრო ახლოს არიან პრობლემებთან და უკეთ განსაზღვრავენ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და ადეკვატურად გეგმავენ საჭირო ჩარევის ფორმებს. სოციალური მომსახურებების შინაარსის დაგეგმვის პროცესში ხშირად გამოიყენება მათთან კონსულტაციები იმისათვის, რომ ხელისუფლების ორგანოებამდე უკეთ მივიდეს ადგილობრივი მონყვლადი მოსახლეობის საჭიროებების შესახებ ინფორმაცია.

სსო-ებთან თანამშრომლობა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური მომსახურებების დუბლირებისა და გადაფარვის თავიდან ასაცილებლად, ასევე მათი უკეთ კოორდინირებისათვის, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები აწარმოებენ სოციალურ მომსახურებებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით. სამოქალაქო სექტორთან კონსულტაცია და თანამშრომლობა უზრუნველყოფს ორივე მხარის მიერ წარმოებული ღონისძიებების უფრო მეტ ეფექტიანობას.

დამატებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობას შედეგად მოაქვს ბენეფიციარების მხრიდან სოციალური მომსახურებებისა და შესაბამისი შედეგების მიმართ გაზრდილი მიკუთვნებულობის განცდა.

სამოქალაქო სექტორის კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს ისიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ ნოვაციის მნიშვნელოვან წყაროს და ხშირად ასაზრდოვებენ ინოვაციურ იდეებს სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტისათვის. ასეთი გადაწყვეტის გზები შესაძლოა, გამოიყენოს ხელისუფლების ორგანოებმა ახალი სოციალური მომსახურებების

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამმართველო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

შესაქმნელად და არსებულის რეფორმისათვის. სსო-ების მიერ ინოვაციის წარმოქმნის ტენდენცია განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცოდნისა და ღიაობის ხარისხით, ინსტიტუციურად შეუზღუდავი მართვისა და ფუნქციონირების გარემოთი და პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზების თვალსაზრისით ბიუროკრატიული დაბრკოლებების არარსებობით.

სსო-ების მდგრადობისა და წარმატებისათვის კრიტიკულად აუცილებელია უზრუნველყონ ბენეფიციართა საჭიროებებთან თავიანთი საქმიანობის თანხვედრა. ეს ფაქტორი დამატებით განაპირობებს მათი მომსახურების მაღალ ხარისხს და მათ მჭიდრო კომუნიკაციას მოქალაქეებთან.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების კიდევ ერთი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ხშირად დაკავშირებული არიან საერთაშორისო და ადგილობრივ ქსელებთან და შესაბამისად, უკეთ შეუძლიათ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და იმ მოდელების ადგილობრივ დონეზე ადაპტირება, რომლებიც სხვა ქვეყნებში წარმატებული აღმოჩნდა. ასეთი ორგანიზაციები ხშირად შეიმუშავენ და ახორციელებენ საპილოტო პროგრამებს, რომელთა წარმატების შემთხვევაშიც, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია მათი ფართო მასშტაბით გამოყენება.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც სსო-ებს სოციალური მომსახურებების განვითარების თვალსაზრისით, უკეთეს პოზიციაში აყენებს არის შესაბამისი პროფესიონალებისა და ექსპერტების დასაქმება. ასეთი ორგანიზაციები ხშირად ასაქმებენ სწორედ ისეთ პროფესიონალებს, რომლებიც სოციალური მომსახურებების პრობლემათიკაზე ფოკუსირდებიან. შესაბამისად, სსო-ებს დაგროვილი აქვთ ექსპერტული ცოდნა და ინსტიტუციური გამოცდილება სწორედ მონყვლადი ჯგუფების პრობლემების გადაჭრის კუთხით. კერძო სექტორი, ამ სფეროში მხოლოდ დარგობრივი ინტერვენციითა და კონკრეტული მომსახურებების მიწოდებით შემოიფარგლება.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს ორგანიზაციებთან შედარებით, არასამთავრობო ორგანიზაციები არ არიან მოგებაზე ორიენტირებული. მეტიც, არასამმართველო იურიდიულ პირებს ეკრძალებათ მოგების განაწილება და შესაბამისად, ჭარბი შემოსავალი კვლავ სოციალური პროექტების განხორციელებას ხმარდება.

ამ და სხვა ფაქტორების გამო, სსო-ების მუშაობის სპეციფიკა უფრო ახლოსაა სოციალურ მომსახურებებთან, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურების ან ბიზნეს ორგანიზაციების.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსებით ხარჯების შემცირების შესაძლებლობას, აღნიშნული განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

პირველ ყოვლისა, საჯარო სტრუქტურების მიერ სოციალური მომსახურებების უშუალოდ განხორციელება, თავისთავად, დაკავშირებულია გაზრდილ ხარჯებთან და ბიუროკრატიასთან.

საჯარო დაწესებულებები ექვემდებარებიან მრავალმხრივ შეზღუდვებს და საკანონმდებლო ნორმებს, მათ შორის, ისეთებს, რომლებიც არარელევანტურია სოციალური მომსახურებების განვითარებასთან. ამასთან, საჯარო სტრუქტურების მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხშირად დაკავშირებულია ბიუროკრატიულ პროცედურებთან, რაც ზრდის გასაწვეი მომსახურების დროს.

სახელმწიფო სტრუქტურებთან შედარებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უფრო მოქნილები არიან საკუთარ საქმიანობაში. მათ უკეთ შეუძლიათ გარემოსა და ბენეფიციართა საჭიროებების ცვლილებებთან ადაპტირება და ასევე არიან უფრო ნაკლებად ბიუროკრატიული. შესაბამისად,

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

მათ მიერ სოციალური მომსახურებების წარმოების შემთხვევაში, ბენეფიციარები მათ ანიჭებენ უპირატესობას სამთავრობო მომსახურებებთან შედარებით.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ დროებით დაიქირავონ საჭირო სპეციალისტები, სამთავრობო სტრუქტურებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში, შტატების დამატება და შესაბამისი საკონკურსო პროცედურების განხორციელება უწევთ.

საჯარო სტრუქტურებში სპეციალისტების დაქირავება უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია შტატების ზრდასთან. პროექტის დასრულების შემთხვევაში, ასევე რთულია დაქირავებული პირის გათავისუფლების პროცედურა. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, საჯარო მოხელეთა საქმიანობა ხელფასის გარდა, დამატებით, უკავშირდება მათ სოციალურ გარანტიებს (დაზღვევა, სხვადასხვა ხარჯების ანაზღაურება და ა.შ.). ყოველივე ეს კი, თავისთავად აძვირებს მომსახურებისათვის საჭირო რესურსებს. სახელმწიფო სექტორისგან განსხვავებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასეთი პროცედურების განხორციელებისა და ხარჯების განწესის ვალდებულება არ წარმოეშობათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაცილებით მცირე ზომის დაწესებულებებია, ვიდრე სახელისუფლებო სტრუქტურები. ეს დამატებით განაპირობებს პროექტისათვის აუცილებელი ისეთი ხარჯების შემცირებას, როგორებიცაა კომუნალური ხარჯები, ხელფასები და სხვ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც სსო-ებს სოციალური მომსახურებების განწესისას უპირატესობას ანიჭებს, არის ის, რომ მათ შეუძლიათ დამატებითი რესურსების მობილიზება დონორი ორგანიზაციებისაგან ან/და კერძო შემონირულობების გზით. ხშირ შემთხვევაში, სსო-ები აწარმოებენ სხვადასხვა სოციალურ მომსახურებებს. ასეთი მომსახურებებთან დაკავშირებული საჯარო მომსახურების დაფინანსების გზით კი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაიზარდოს, როგორც საჯარო დაწესებულების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციის პროექტების ეფექტი.

მოხალისეების ჩართულობა და საზოგადოებრივი კაპიტალი კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია სოციალური მომსახურებების ხარჯების შესამცირებლად. არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებასა და მათ ფინანსურ მდგრადობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ორგანიზაციების საქმიანობაში მოხალისეთა ჩართულობა. დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში მოხალისეები შეადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაწილს. ასე მაგალითად, კვლევების მიხედვით, პოლონური ორგანიზაციების 3/4-ს არ ჰყავს ხელფასიანი თანამშრომლები; ასევე, მოხალისეები შეადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციების 35.5%-ს ჩეხეთში, 29.7 პროცენტს სლოვაკეთში, 18%-ს უნგრეთში და ა.შ.¹

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სოციალური მომსახურებების განხორციელების თვალსაზრისით, არის ე.წ. „კერძო შეთანხმების ჩაშლის“ თეორია. აღნიშნული თეორიის თანახმად, როდესაც მომსახურების მიმღები დაუცველ ფენას ეკუთვნის, მას არ შესწევს საკუთარი უფლებების დაცვის უნარი და შესაბამისად, ადგილი აქვს კომერციული სანარმოების მხრიდან ამ უფლებათა შელახვას. ეს თეორია კიდევ უფრო ამყარებს სოციალური უზრუნველყოფის ბაზარზე არასამთავრობო ორგანიზაციების უპირატესობას.

1 მოხალისეობა- საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველო, გვ. 3; ვახტანგ ნაცვლიშვილი; 2011 წ. წყარო: http://www.civilin.org/pdf/CSI_Research_Volunteering.pdf

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

დამატებით, არაერთი ექსპერტი მიუთითებს მოგების ნახვის სურვილისა და სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების მამოტივირებელი იდეოლოგიის შეუთავსებლობის შესახებ. ამ თეორიის თანახმად, დაუცველ ჯგუფთა უფლებების შელახვის ასარიდებლად საუკეთესო საშუალება არის არასამხარამო ორგანიზაციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ სახელმწიფოში მოქმედებს დარგობრივი პოლიტიკები და სტრატეგიები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საშელავათო პირობების დაწესებას სოციალური მომსახურებების გარე წყაროდან შესყიდვის დროს. ეს, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, განპირობებულია იმითაც, რომ მსგავსი შელავათები განიხილება სამოქალაქო სექტორის მხარდამჭერის ფორმად. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოები ცდილობენ გაათანაბრონ საზოგადოებრივი სექტორისა და ბიზნეს ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობა და ხელი შეუწყონ არამომგებიანი ორგანიზაციების მდგრადობას.

საქართველოშიც, იმის გამო, რომ არასამთავრობო სექტორი მეტწილად დონორების დაფინანსებაზეა დამოკიდებული, სასურველია, ხელი შეეწყოს მათი შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციას და მათ ფინანსურ მდგრადობას. აღნიშნული აუცილებელია შესაბამისი ორგანიზაციების ინსტიტუციური გამოცდილებისა და ექსპერტული ცოდნის შესანარჩუნებლად.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები

ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სოციალური მომსახურებების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომლობის ფორმების განხილვა აუცილებელია დავინყოთ მუნიციპალიტეტებისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და მათი განხორციელების მექანიზმების განმარტებით. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც თვითმმართველობის ორგანოების ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, სოციალური მომსახურების სფეროში, უნდა ეფუძნებოდეს აღნიშნულ უფლებებსა და მექანიზმებს.

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები დადგენილია შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

ზემოთ აღნიშნულ ნორმაში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ მუხლში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და იგი ასევე მიუთითებს „საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე“.

ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია საქართველოს ორგანულ კანონში - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. თუმცა, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალური ხელისუფლების კომპეტენციები, ასევე გაბნეულია სხვადასხვა დარგობრივ კანონმდებლობაში. ასე მაგალითად, მოწყვლადი ჯგუფების დახმარებისა და სოციალური პროგრამების წარმოების მუნიციპალური უფლება-მოვალეობანი ასევე გვხვდება ისეთ სამართლებრივ აქტებში, როგორებიცაა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვ.

განვიხილოთ საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლებების ზოგადი კომპეტენციები და მათი განხორციელების მექანიზმები „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით:

აღნიშნული კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებები, მათ შორის:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა;
- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია;
- კომპეტენციის ფარგლებში „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.

მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილებების გარდა, კოდექსი მუნიციპალიტეტებს ანიჭებს დამატებით უფლებამოსილებებს იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც არ მიეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოების კომპეტენციას. კერძოდ, აღნიშნული

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.“

ამ მუხლის მე-4 პუნქტში კი, ჩამოთვლილია ასეთი საკითხებისა და ღონისძიებების მაგალითები, რომლებიც არ არის ამომწურავი. კერძოდ, აღნიშნული პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დამატებით, განახორციელოს ღონისძიებები თუ ამ საკითხების გადაწყვეტა ხელისუფლების სხვა ორგანოს კომპეტენციას არ წარმოადგენს. ასეთი ღონისძიებები მოიცავს:

- დასაქმების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა;
- ტურიზმის განვითარება;
- სოციალური დახმარება;
- სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვა;
- ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა;
- მასობრივი სპორტის ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვა;
- საზოგადოებრივი განათლება;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა;
- ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და
- ღონისძიებები სხვა მიზნებით.

მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები და მათი მიზნები ამომწურავი არ არის და კანონმდებელი მუნიციპალიტეტებს საშუალებას აძლევს ასევე განახორციელოს სხვა აქტივობები, თუ მათი იმპლემენტაცია ხელისუფლების სხვა ორგანოს კომპეტენციას არ მიეკუთვნება.

აქვე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა განსაზღვრის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვან საფუძვლებს ქმნის „ევროპული

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

ქართია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. აღნიშნული ქართია ხელმოწერილი და რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და სავალდებულოა სამართლებრივი თვალსაზრისით.

აღნიშნული ქართის მე-4 მუხლი ადგენს, რომ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს.

ნათელია, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3-მე-4 პუნქტები, გარკვეულწილად, იმეორებენ ქართის მე-4 მუხლის შინაარსს.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმებსა და მექანიზმებს, მათ, ძირითადად, აწესრიგებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლი. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

- იღებენ/გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
- შეიმუშავენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს;
- ახორციელებენ შესყიდვებს;
- დებენ ხელშეკრულებებს;
- იძენენ და ქმნიან მუნიციპალიტეტის საკუთრებას;
- ფლობენ და განკარგავენ მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას, სარგებლობენ ამ ქონებით, აგრეთვე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის და სხვა პირების ქონებით;
- აფუძნებენ და მართავენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;
- იღებენ სესხს;
- ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას;
- მომსახურების ხარისხისა და მართვის ეფექტიანობის გასაზრდელად უზრუნველყოფენ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვასა და განვითარებას;
- ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მუხლიც არ არის შემზღუდავი და იგი საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს განახორციელონ „სხვა ღონისძიებები“ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვადასხვა დარგობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებისათვის დადგენილია უფლებამოსილებათა განხორციელების სხვა ფორმებიც, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

**მუნიციპალიტეტების მიერ ქონების დროებით
სარგებლობაში გადაცემის ფორმები**

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი არის ადგილობრივი ორგანიზაციების სამუშაო ფართზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოში ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ და სოციალური მომსახურებების მწარმოებელი ორგანიზაციების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბევრი მათგანი მიუთითებს სანარმოო ფართის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. ეს ძირითადად, მიემართება სახელმწიფოსგან/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან ქონების უსასყიდლო სარგებლობაში მიღების პროცედურას.² ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ მუნიციპალიტეტებს ხშირად უჭირთ მათი შენობით უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტა და შესაბამისი იურიდიული ფორმების გამოძებნა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ იძლევა შესაძლებლობას, მოხდეს ასეთი ორგანიზაციებისათვის მუნიციპალური უძრავი ქონების, როგორც საკუთრების უფლებით გადაცემა, ასევე სარგებლობის უფლებით გადაცემა.

წინამდებარე გზამკვლევაში ჩვენ განვიხილავთ მუნიციპალური ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის სამართლებრივ საფუძვლებს, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში, სოციალური მომსახურების გამწვევი ორგანიზაციების ინტერესს სწორედ სამუშაო ფართის სარგებლობის უფლების მიღებაა, ვინაიდან მათ არ აქვთ საკმარისი ფინანსები მუნიციპალური უძრავი ქონების შესაძენად.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის (მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმები და წესი) თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი ფორმების გამოყენება:

- აღნაგობა;
- უზუფრუქტი;
- ქირავნობა;
- იჯარა;
- თხოვება;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის.

² სამაგიდე კვლევა სოციალური მენარმეობის პრაქტიკა და გამონვევები საქართველოში; გვ.54; წყარო: http://segeorgia.org/FILES/doc/382_%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით.

მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადამწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადამწყვეტილებას – მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლოდ ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით.

აღნიშნული ორწლიანი შეზღუდვა პრაქტიკაში იწვევს პრობლემებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ზოგიერთ შემთხვევაში, მიუთითებენ, რომ მათთვის ბუნდოვანია, აქვს თუ არა, მუნიციპალიტეტს უფლება, ვადის ამონურვის შემდეგ გააგრძელოს ხელშეკრულება იმავე იურიდიულ პირთან, ვისთვისაც ქონება სარგებლობაშია გადაცემული.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება არც ერთი ჩანაწერი, რომელიც მუნიციპალიტეტებს შეუზღუდავს ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემას ერთი და იგივე პირისთვის ერთი სახელშეკრულებო ვადის ამონურვის შემდეგ. აღნიშნული ვადა მიემართება უსასყიდლოდ ქონების გადაცემის ხელშეკრულებისა და შესაბამისი გადამწყვეტილების ვადას.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია ხელახლა მიიღოს გადამწყვეტილება იმავე პირისთვის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო და მუნიციპალური ქონება უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცემათ სხვადასხვა სოციალური სარგებლის მწარმოებელ ორგანიზაციებს. ასე მაგალითად, ლიეტუვას რესპუბლიკის სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების მართვის, გამოყენების და განკარგვის შესახებ კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების შენობები შეიძლება დროებითი გამოყენებისა და განკარგვისთვის უფასოდ გადაეცეთ სოციალურ სანარმოებს. ხარჯები, რომლებსაც სოციალური სანარმოები დაზოგავენ შენობების უფასო გამოყენების შედეგად, ითვლება რეალურ სახელმწიფო დახმარებად.³

3 სამაგიდე კვლევა: საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური სანარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ, გვ. 75; წყარო: http://segeorgia.org/FILES/doc/343_Desk_Research_State_SE_Support_Mechanisms_GEO.pdf

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

3. სახელმწიფო შესყიდვები და გამონაკლისები

3.1. ზოგადი ინფორმაცია

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული მუნიციპალური მომსახურებების გარე წყაროებისგან შესყიდვის მთავარი მეთოდი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საშუალებებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვაა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს კანონმდებლობიდან გამონაკლისები, როდესაც არასამეწარმეო ორგანიზაციებს გარკვეული ტიპის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას უპირატესობა ენიჭებათ. თუმცა, საქართველოში ასეთი გამონაკლისები არ არსებობს. განვიხილოთ საზღვარგარეთის ქვეყნების რამდენიმე მაგალითი:

ლიეტუვას სახელმწიფო შესყიდვების კანონის 91-ე მუხლის შესაბამისად, შესყიდვები სოციალური საწარმოებისგან შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წესით. გარდა ამისა, სახელისუფლებო ორგანოებმა გამარტივებული შესყიდვების დროს, შესყიდვების მთლიანი ღირებულების მინიმუმ 5% უნდა შეიძინონ სოციალური საწარმოებისგან (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სოციალური საწარმოების ჩათვლით).⁴

იტალიაში სოციალური კოოპერატივების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, კოოპერატივებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ შესყიდვებში პრივილეგიებული პროვაიდერების სტატუსი მიენიჭათ. ეს საკითხი გამოწვევის წინაშე იდგა გარკვეული ტიპის სოციალური კოოპერატივებისთვის, თუმცა, ევროკავშირთან შეთანხმების საფუძველზე დაუშვეს გამონაკლისი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებებს 300 000 ევრომდე ღირებულების პირდაპირი კონტრაქტების გაფორმების უფლებას აძლევს.⁵

საინტერესო მოდელი აქვს პოლონეთს, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას უფლებას აძლევს, შესყიდვების პროცესში, შესყიდვის პირობების განსაზღვრისას (მაგ. სატენდერო პირობების შედგენისას) დაადგინოს, რომ უპირატესობა მიენიჭება სოციალურ საწარმოებს.⁶

აღნიშნული საგამონაკლისო წესების დანერგვა საზღვარგარეთის ქვეყნებში განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. კერძოდ, არასამეწარმეო იურიდიული პირები, ხშირ შემთხვევაში, კონკურენციას ვერ უწევენ სამეწარმეო სუბიექტებს, ვინაიდან, მათი შემოსავალი და ბრუნვის მასშტაბი ბევრად ჩამორჩება საწარმოთა ბრუნვას. ამასთან, სსო-ები, ხშირ შემთხვევაში, ასაქმებენ მონყვლად ჯგუფებს და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია სხვადასხვა ფაქტორის გამო ძვირდება.

4 სამაგიდე კვლევა: საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდაჭერი მექანიზმების შესახებ; გვ.74; წყარო http://segeorgia.org/FILES/doc/343_Desk_Research_State_SE_Support_Mechanisms_GEO.pdf

5 იქვე, გვ. 59;

6 სამაგიდე კვლევა: „სოციალური მენარმოების პრაქტიკა და გამოწვევები საქართველოში“. გვ. 53. წყარო: http://segeorgia.org/FILES/doc/382_%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარშემო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

საქართველოში ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ ცხადყო⁷ რომ სოციალურ სანარმოებსა და სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოწყვლადი ადამიანების დასაქმებაა, ხშირ შემთხვევაში, დაბალკონკურენტუნარიანი კადრების მეშვეობით უნევთ პროდუქციის/სერვისის წარმოება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სანარმოს საქმიანობებზე, მაგ: გაიზარდოს პროდუქციის წარმოებისთვის/სერვისისთვის განსაზღვრული დრო, გაიზარდოს წუნდებული პროდუქციის რაოდენობა და ა.შ. ასეთი ტიპის სოციალური სანარმოები შექმნისთანავე არათანაბარ ბიზნეს გარემოში ხვდებიან, რაც შემდეგ უარყოფითად აისახება მათ ინსტიტუციურ განვითარებასა და მდგრადობაზე.

ამასთან, საქართველოში სსო-ები არაერთ კვლევაში მიუთითებენ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის შევსების სირთულის გამო, ისინი ხშირ შემთხვევაში, არ მონაწილეობენ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში.

ამ ფონზე ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების თვალსაზრისით, არ აწესებს არავითარ შეღავათსა თუ წამახალისებელ მექანიზმს არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის.

განვიხილოთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვის საშუალებები და მათი რელევანტურობა სოციალური მომსახურების სფეროსთან:

3.2. სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები და გამონაკლისები „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების გარდა.

სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი ელექტრონული ან სხვა საშუალებებით, როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაციას განზრახული აქვს საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა.

კანონი ასევე ადგენს გამონაკლისებს, როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაცია არ არის ვალდებული გამოიყენოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საშუალებები. ასეთ შემთხვევებს ადგენს პირველი მუხლის 3¹ პუნქტი. მათ შორის, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

- ელექტროენერჯის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე;

7 სამაგიდე კვლევა: „სოციალური მენარმეობის პრაქტიკა და გამოწვევები საქართველოში“; გვ.16; წყარო: http://segeorgia.org/FILES/doc/382_%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლმართო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

- ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
- მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
- ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებასა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე;
- შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
- „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვებზე.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გამონაკლისები, ვრცლად, სხვა ქვეთავებში იქნება განხილული.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დადგენილია შესყიდვის შემდეგი საშუალებები:

- კონკურსი;
- ელექტრონული ტენდერი;
- გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
- კონსოლიდირებული ტენდერი;
- გამარტივებული შესყიდვა;
- ალტერნატიული შესყიდვა;
- ორეტაპიანი სახელმწიფო შესყიდვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვად არ მოიაზრება ამა თუ იმ დარგისა თუ მოწყვლადი ჯგუფების სუბსიდირება, სახელმწიფო დახმარებები სხვადასხვა სფეროში და ა.შ.

კონკურსი

კონკურსის წესით სახელმწიფო შესყიდვის მექანიზმი გამოიყენება საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისათვის. იგი ხორციელდება გამარტივებული შესყიდვისა და ელექტრონული ტენდერისგან განსხვავებული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურით.

კონკურსის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი ტენდერთან შედარებით, არის ის, რომ საკონკურსო განაცხადების შეფასებისას, ფასის გარდა, ფასება წარმოდგენილი პროექტის თვლადი და ხარისხობრივი კრიტერიუმები.⁸

⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის ბრძანება №7 „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. იხ. კონსოლიდირებული ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2850051>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

ელექტრონული ტენდერი

ელექტრონული ტენდერი არის 5 000 ლარის ან მეტი ღირებულების (გარდა გამარტივებული შესყიდვის გამონაკლისი შემთხვევებისა) შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ პროცედურებს.⁹

საბიუჯეტო წლის განმავლობაში 5000 ლარამდე შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისათვის არ არის სავალდებულო ელექტრონული ტენდერის პროცედურების გამოყენება.

შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები დგინდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული CPV კოდების (Common Procurement Vocabulary - ევროკავშირის EC#213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონი) მიხედვით.

კონსოლიდირებული ტენდერი

კონსოლიდირებული ტენდერი არის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროცედურა, რომლის დროსაც ვლინდება საუკეთესო სატენდერო წინადადება.

კონსოლიდირებული ტენდერები, ძირითადად, გამოიყენება ფიქური კავშირგაბმულობის მომსახურების, ინტერნეტის, ავტოპარკის საბურავების, საკანცელარიო საქონლის, ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების, კომპიუტერების, ნავთობპროდუქტების და მსგავსი საქონლისა და მომსახურების შესაძენად.

კონსოლიდირებული ტენდერი გულისხმობს შესყიდვის ცენტრალიზებულად განხორციელებას. თუ რა შემთხვევებში უნდა ჩატარდეს კონსოლიდირებული ტენდერი, ამას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, ხოლო ტენდერს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

ალტერნატიული შესყიდვა

შემსყიდველის დასაბუთებული გადანყვეტილებით, შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემის მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, შესაძლოა, განხორციელდეს საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვა განსხვავებული მიმწოდებლისგან.

ასეთ შემთხვევაში არ დაიშვება საკომუნიკაციო მომსახურების არსებული მიმწოდებლის მონაწილეობა შესყიდვის პროცედურებში. ალტერნატიულ შესყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით;

⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი. იხ. ასევე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3699020>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

ალტერნატიული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, ამის თაობაზე აცნობოს არსებული (ძირითადი) საკომუნიკაციო მომსახურების გამწვევ მიმწოდებელს.¹⁰

ორეტაპიანი სახელმწიფო შესყიდვა

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ორეტაპიანი სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები, სახელმწიფო შესყიდვის აღნიშნული საშუალების თავისებურებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია შეიცავდეს ელექტრონული ტენდერისათვის დადგენილი დებულებებისაგან განსხვავებულ დებულებებს.

ეგრეთწოდებული ორეტაპიანი ტენდერის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ აქ პრეტენდენტების რანჟირება (რიგითობა) დამოკიდებულია არა მხოლოდ სატენდერო წინადადების ფასზე, არამედ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სხვა თვლად კრიტერიუმებზე და მათ ხვედრით წონებზე. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია ავტომატური რანჟირების სისტემა - სისტემა, რომელიც თვითდეკლარირებული მაჩვენებლებით ავტომატურად განსაზღვრავს პრეტენდენტების რანჟირებას.

ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის მიზანია, ორ ეტაპად, ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით, საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტის გამოვლენა.

შემსყიდველი ორგანიზაცია, ორეტაპიანი ტენდერის შემთხვევაში, განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტის სატენდერო წინადადება. პრეტენდენტების მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დაწესდეს მათი პროფესიული კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და საქმიანობის სხვა საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.¹¹

შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე უფლებამოსილია, განსაზღვროს სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმების შემდეგი ტიპები:

- მოთხოვნები, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი, მისი სატენდერო წინადადება უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს და ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;
- თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება მაღალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაადგინოს ზღვრული ოდენობა, რომელზე მაღალი ციფრობრივი მაჩვენებლის მითითებაც აღარ ახდენს გავლენას პრეტენდენტის ჯამურ შეფასებაზე;

10 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. იხ. კონსოლიდირებული ვერსია. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3699020>

11 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანება „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. იხ. კონსოლიდირებული ვერსია. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3352933>

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სექტორისა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

- თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს. ასეთ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმში, უმაღლეს შეფასებას ღებულობს ის პრეტენდენტი, რომლის მიერ დაფიქსირებული სატენდერო წინადადების შეფასების კრიტერიუმის მნიშვნელობა ყველაზე მეტად სცილდება (მეტობიდან ნაკლებობისკენ) სატენდერო პირობებით განსაზღვრულ ამ კრიტერიუმისთვის დადგენილ მაქსიმალურ მოთხოვნას. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაადგინოს ზღვრული ოდენობა, რომელზე დაბალი ციფრობრივი მაჩვენებლის მითითებაც აღარ ახდენს გავლენას პრეტენდენტის ჯამურ შეფასებაზე;
- კრიტერიუმები, რომლებიც გულისხმობს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას და პრეტენდენტის მიერ ამ პირობის/პირობების შესრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში, თუ ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას/პირობებს, პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შეფასება კლებულობს სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პროცენტული ოდენობის შესაბამისად, მაგრამ თითოეულ კრიტერიუმზე არაუმეტეს სამი პროცენტისა.

გამარტივებული შესყიდვა

შესყიდვის ეს საშუალება გამოიყენება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ საგამონაკლისო შემთხვევებში ან 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს გამარტივებული შესყიდვა. მათ შორის:

- საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად;
- არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა; ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს;
- შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვე-კონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დონის ძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელება დადგინდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით ან ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების სამართლებრივი აქტებით;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზემოთ მითითებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის განხორციელებამდე უნდა შეუთანხმოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

ზემოთ განხილული შესყიდვის საშუალებებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ არასამხარამო იურიდიული პირებისაგან სოციალური მომსახურებების შესყიდვისათვის მეტ-ნაკლებად რეგულაციური ელექტრონული ტენდერი, ორეტაპიანი სახელმწიფო შესყიდვა და გამარტივებული შესყიდვა.

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ა(ა)იპ-ებისაგან სოციალური მომსახურებების შესყიდვისათვის, ასევე ეფექტურად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 3¹ მუხლით გათვალისწინებული ის გამონაკლისები, რომლებიც უკავშირდება ვაუჩერული დაფინანსების სისტემას და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი გამოიყენება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ საქონლისა და მომსახურებების შესყიდვისათვის. საქონელი და მომსახურება, ხშირ შემთხვევაში, არ გულისხმობს სოციალურ ან სხვა დახმარებებს და ასევე, სუბსიდიებს, რომლებიც რეგულირებულია შესაბამისი კანონმდებლობით.

3.3. ვაუჩერის გამოყენებით სოციალური მომსახურებების შესყიდვის მუნიციპალური მაგალითები

წინა ქვეთავში აღინიშნა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, არ ვრცელდება ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე. კანონმდებლის ამგვარი გადაწყვეტილება პირველ ყოვლისა, განპირობებულია ჩამოთვლილი სფეროების სპეციფიკით, ვინაიდან ამ სფეროებში ვაუჩერის გამოყენებით მოქალაქეთა საჭიროებების უზრუნველყოფა, ხშირ შემთხვევაში, უფრო ეფექტიანი და შედეგიანია, ვიდრე დაფინანსების სხვა მეთოდების გამოყენება.

მომდევნო ქვეთავებში განხილული იქნება საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პროგრამების ვაუჩერული დაფინანსების რამდენიმე მაგალითი და ის პრინციპები, რომლებსაც თბილისის მუნიციპალიტეტი ბენეფიციარებისა და შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელთა შესარჩევად და ასევე, ასეთი მომსახურებების ხარისხის კონტროლისათვის იყენებს. ეს მაგალითები, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით, საინტერესო იქნება სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც, მსგავსი პროგრამებისა თუ მომსახურებების შემუშავების შემთხვევაში:

3.3.1. შინმოვლის დაფინანსება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-21 დადგენილებით დამტკიცებულია თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

განხორციელების წესები. აღნიშნული დადგენილების მე-7 დანართით მტკიცდება „შინმოვლის თანადაფინანსების (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.¹²

შინმოვლის დაფინანსების ქვეპროგრამა გათვალისწინებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. დაფინანსება ხორციელდება შესაბამისი ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი მომსახურებების მოცულობა ლიმიტირებულია ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტით.

2018 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 403 000 ლარს. ბიუჯეტის შესაბამისი ხარჯები კლასიფიცირებულია, როგორც „სოციალური უზრუნველყოფა“.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება არაუმეტეს 900 მოსარგებლე წლის განმავლობაში. მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სახეები

ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურებები, პირობითად, შეგვიძლია დავყოთ 2 მიმართულებად:

1. მოსარგებლის (პოტენციური ბენეფიციარის) შეფასება ბართელის კითხვარის მიხედვით არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ და შესაბამისი ბართელის ინდექსის მინიჭება;
2. მოსარგებლის მოვლის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება და მისი და მისი ოჯახის წევრების სხვადასხვა სახის დახმარება. კერძოდ:
 - მოსარგებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მოვლის ინდივიდუალური გეგმის შედგენა;
 - ინდივიდუალურ გეგმაში მოსარგებლებთან ვიზიტის განსაზღვრა და განხორციელება;
 - მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის, პერსონალური მოვლის, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარების, მისი და მისი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით კომპლექსური მოვლის განხორციელება. აღნიშნული ღონისძიება, ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, მოიცავს, მრავალდარგობრივი გუნდის მიერ ბინაზე მოვლის განხორციელებას.¹³

¹² ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-21 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“. იხ. კონსოლიდირებული ვერსია. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3958840>

¹³ აღნიშნული მოიცავს: მოსარგებლის შეფასება – გარემოს შეფასება, საჭიროებების გამოვლენა, სოციალური მუშაკის კონსულტაცია; მოსარგებლის საქმიანობა და საქეთო მომსახურება – ექიმისა და ექთნის ვიზიტები ქვეპროგრამით მოსარგებლესთან; მოსარგებლის პერსონალური (ფიზიკური) მოვლა; მოსარგებლის სოციალური დახმარება – რესურსების მობილიზირება, ადვოკატირება, მედიაცია; მოსარგებლის ტექნიკური დახმარება – საჭიროების შეფასება, საჭირო მასალებით უზრუნველყოფა, ბინაზე არსებული ტექნიკური პრობლემების მოგვარება (მ.შ. შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარება), ფიზიკური გარემოს ადაპტაცია; მოსარგებლის საყოფაცხოვრებო დახმარება – საყიდლები, ბინის დალაგება, საკვების მომზადება, ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა, საქეთო და პერსონალური მოვლისათვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფა; საჭიროებისამებრ, სხვა აქტივობა; საჭიროების შესაბამისად დამატებითი სერვისების ორგანიზება და მიწოდება.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

პროგრამაში ჩართვა

ქვეპროგრამაში ჩართვა შეუძლიათ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. თბილისში რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრებს.

ქვეპროგრამით სარგებლობის უფლება ენიჭებათ პირებს, რომლისთვისაც „უძღურების შეფასების ბართელის კითხვარის“ მიხედვით მინიჭებული ქულა (ბართელის ინდექსი) არ აღემატება 95 ერთეულს.

როგორც ვხედავთ, წესი ერთმანეთისაგან ასხვავებს ტერმინებს: „ქვეპროგრამაში ჩართვა“ და „ქვეპროგრამით სარგებლობა“. პირველი გულისხმობს უფლებას, შესაბამისი მიმწოდებლის მიერ შეფასდეს პოტენციური ბენეფიციარი, ხოლო მეორე გულისხმობს უფლებას – შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბენეფიციარმა, მის მიერ შერჩეული მიმწოდებლისაგან მიიღოს შინ მოვლის მომსახურება.

ქვეპროგრამაში ჩართვა არ შეუძლიათ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლებებს, ასევე სახელმწიფო ან მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში სამედიცინო ან ზრუნვით დაწესებულებაში მომსახურების მიმღებ პირებს.

მოსარგებლეთა კატეგორიები განისაზღვრება ბართელის ინდექსის მიხედვით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად მსურველი რეგისტრირდება ელექტრონულ მოდულში ქ. თბილისის მერიის ცხელი ხაზის საშუალებით.

მერიის შესაბამისი სამსახური პოტენციური მოსარგებლის შესახებ ინფორმაციას, ელექტრონული მოდულის საშუალებით, უგზავნის შემფასებელს, რომელიც არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა ახორციელებს მოსარგებლის შეფასებას ბართელის კითხვარის მიხედვით, ანიჭებს მას ბართელის ინდექსს და ქვეპროგრამის ელექტრონულ მოდულში განათავსებს შეფასების შესაბამის ფორმას.

იმ შემთხვევაში, თუ ბართელის კითხვარის მეშვეობით დადგინდა, რომ ბენეფიციარის ბართელის ინდექსი არ აღემატება 95 ქულას, ბენეფიციარს უფლება აქვს აირჩიოს შინ მოვლის ერთ-ერთი მიმწოდებელი (ორგანიზაცია), იმ სუბიექტებიდან, რომლებიც თბილისის მერიის მიერ შესაბამისი წესით აღიარებულია მომსახურების მიმწოდებლად.

ბენეფიციარს მომსახურების მიმწოდებლის შერჩევა შეუძლია თავისუფალი არჩევანის პრინციპით. ამასთანავე, მას უფლება აქვს, შეცვალოს შესაბამისი მიმწოდებელი არაუმეტეს 6 თვეში ერთხელ.

ბენეფიციარის მხრიდან კონკრეტული მიმწოდებლის მიერ შინმოვლის განხორციელებაზე თანხმობის ბარათის მიღების (მიმწოდებლის შერჩევის) თვის მომდევნო თვის 7 რიცხვამდე მიმწოდებლის მიერ ხორციელდება ვიზიტი მოსარგებლესთან და მის მიერ ელექტრონულ მოდულში განათავსდება მოვლის ინდივიდუალური გეგმა.

ქვეპროგრამის მიმწოდებლები

ქვეპროგრამის მიმწოდებლები იყოფიან 2 კატეგორიად:

ა) მიმწოდებელი რომელიც ახორციელებს ბენეფიციარის შეფასებას ბართელის კითხვარის მიხედვით;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

ბ) მიმწოდებლები, რომლებიც ახორციელებენ შინმოვლის მომსახურებებს ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად.

ბართელის კითხვარის მიხედვით მოსარგებლის შეფასების მომსახურების მიმწოდებელს წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის დანესებულებები, რომლებიც:

- წერილობით დაუდასტურებენ განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს; და
- გაივლიან რეგისტრაციას ქვეპროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილ ელექტრონულ მოდულში.

რაც შეეხება შემდეგ მომსახურებებს:

- მოსარგებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მოვლის ინდივიდუალური გეგმის შედგენა;
- მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის, პერსონალური მოვლის, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარების, მისი და მისი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით კომპლექსური მოვლის განხორციელება; და
- ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად ვიზიტები;

აღნიშნული მომსახურების მიმწოდებელს რეგისტრაციის გავლისა და ქვეპროგრამაში მონაწილეობის წერილობითი განცხადების გარდა, მოეთხოვება ზემოაღნიშნული წესით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება;

მომსახურების მიმწოდებლის კრიტერიუმები

ინდ. გეგმის შესაბამისად შინ მოვლის მომსახურების განმახორციელებელი უნდა აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით იყოს რეგისტრირებული ქვეპროგრამაში ჩართვამდე არაუგვიანეს 1 წლისა და უნდა ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, 6-თვიანი გამოცდილება;
- უნდა ჰყავდეს მრავალდარგობრივი გუნდი შემდეგი შემადგენლობით: ყოველ ≤ 100 პაციენტზე უნდა შედიოდეს არანაკლებ 1 კოორდინატორი, 1 ექიმი, 1 სოციალური მუშაკი, 2 ექთანი, 1 საყოფაცხოვრებო ასისტენტი/ექთნის თანაშემწე და 1 ტექნიკური ასისტენტი;

პირის/ორგანიზაციის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება და ქვეპროგრამის მიმწოდებლად ცნობა ხორციელდება მერიის შესაბამისი სამსახურის (განმახორციელებლის) მიერ.

მოსარგებლებისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმება

მიმწოდებლის შემოწმებას პერიოდულად ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი (მერიის შესაბამისი სამსახური). შემოწმებისას ხდება მიმწოდებელთან მერიის უფლებამოსილი

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

პირის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, მშობელთან/პირის კანონიერ წარმომადგენელთან და პერსონალთან გასაუბრება.

თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ასეთი შემთხვევაში ანაზღაურებას არ ექვემდებარება ის თანხა, რომელიც არ დასტურდება შემოწმების შედეგების მიხედვით.

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

ბართელის კითხვარის შევსების ღირებულება არის 8 ლარი.

მოსარგებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მოვლის ინდივიდუალური გეგმის შედგენის მომსახურება; მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის, პერსონალური მოვლის, ყოველდღიურ საქმიანობაში დახმარების, მისი და მისი გარემოცვის ფსიქოსოციალური დახმარების გზით კომპლექსური მოვლის განხორციელება და ასევე, მომსახურების მიმღებთან პერიოდული ვიზიტები ანაზღაურდება მიმღებთა კატეგორიების მიხედვით, ასე მაგალითად:

- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე I კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის წლიურად ანაზღაურდება 567 ლარამდე მომსახურების საფასური;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის ანაზღაურდება 378 ლარამდე მომსახურების საფასური;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის ანაზღაურდება 219 ლარამდე მომსახურების საფასური და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის თანადაფინანსებას თბილისის მერიასთან ერთად, საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები ახორციელებენ. რამდენიმე მათგანი ახორციელებს, როგორც მომსახურებათა თანადაფინანსებას, ასევე, შესაბამისი მომსახურებების მიწოდებას საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტის მეშვეობით. ასე, მაგალითად, ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასი“ ახორციელებს, როგორც პროგრამის თანადაფინანსებას, ასევე პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებას.

3.3.2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში უფასო სწავლების დაფინანსება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-21 დადგენილებით დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები.

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

აღნიშნული დადგენილების მე-6 დანართით მტკიცდება ქვეპროგრამის - „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ - ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი.¹⁴

ქვეპროგრამის განმახორციელებელია თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 733 500 ლარი. შესაბამისი ხარჯები კლასიფიცირებულია, როგორც „სოციალური უზრუნველყოფა“.

ქვეპროგრამის მოსარგებლები და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ქალაქ თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის პირები.

წესი ადგენს შეზღუდვას თბილისში რეგისტრაციის მიხედვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება თვეში არაუმეტეს 700 მოსარგებლე.

მოსარგებლებს უფინანსდებათ, კვალიფიციური მწვრთნელის საშუალებით, აუზზე ცურვის, მინიმუმ 45-წუთიანი ხანგრძლივობის გაკვეთილები.

გაკვეთილების ერთი სრული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს სამ თვეს, თვეში 12 გაკვეთილს. მომსახურების ხანგრძლივობა (3 თვე) შესაძლებელია გაგრძელდეს სამედიცინო დოკუმენტაციაში (ფორმა №IV-100/ა) მითითებული საჭიროების საფუძველზე, დამატებით, ერთი ვადით (3 თვე).

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით.

მომსახურების მიმწოდებელი

მომსახურების მიმწოდებელია პირი/ორგანიზაცია, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნული წესით დადგენილ კრიტერიუმებს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და გაივლის რეგისტრაციას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ სპეციალურ ელექტრონულ მოდულში.

ელექტრონულ მოდულში რეგისტრაციასთან ერთად, მიმწოდებელი წერილობითი ფორმით უდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

14 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-21 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“. იხ. კონსოლიდირებული ვერსია. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3958840>



„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქვეპროგრამაში ჩართვამდე არაუგვიანეს 1 წლისა;
- უნდა ჰქონდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების (ცურვის გაკვეთილების) მიწოდების, მინიმუმ, 6-თვიანი გამოცდილება;
- უნდა ჰყავდეს კვალიფიციური მწვრთნელი და სერტიფიცირებული ექიმი;
- უნდა ჰქონდეს ერთდროულად მინიმუმ 20 ბავშვის მომსახურებაზე გათვლილი აუზი;
- უნდა ჰქონდეს საშხაპები;

პირის/ორგანიზაციის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასება, წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმება და მიმწოდებლად ცნობა ხორციელდება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ.

მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააჩნია მიმწოდებლის თავისუფალი არჩევის საშუალება. იგი, ელექტრონული მოდულის საშუალებით, შეთავაზებულ მიმწოდებელთა სიიდან ირჩევს მისთვის სასურველ პირს/ორგანიზაციას.

ვაუჩერის პირობები და ანაზღაურება

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის საშუალებით. ფაქტობრივად განეული მომსახურების მიხედვით, დადგენილი ლიმიტის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ერთი გაკვეთილის ფასის შესაბამისად (არაუმეტეს 5,83 ლარი).

ერთი გაკვეთილის/ვიზიტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 5.83 ლარს. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება თვეში არაუმეტეს 12 გაკვეთილი.

ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემთხვევები, როდესაც:

- მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის მონაცემები არ ემთხვევა შემოწმებისას დადგენილ ფაქტებს/მონაცემებს;
- პიროვნების პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემები არ ემთხვევა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემებს;

შემთხვევების კლასიფიცირება (შემთხვევა ასანაზღაურებელია, არ ექვემდებარება ანაზღაურებას) ხდება დოკუმენტების ინსპექტირების პროცესში.

იმ შემთხვევებზე, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას, ქვეპროგრამის მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

ანგარიშგება

განუვლი მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მიმწოდებელი ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

მიმწოდებელი ანარმობებს მოსარგებლეთა დასწრების ელექტრონულ აღრიცხვას, პროგრამის ელექტრონული მოდულის საშუალებით.

საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირება

მიმწოდებლის ინსპექტირებას ახორციელებს ქვეპროგრამის განმახორციელებელი. საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისას ხდება:

- მოსარგებლის იდენტიფიცირება;
- შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თანხის შედარება ცალკეულ მომსახურებაზე განუვლი ხარჯის ჯამურ ოდენობასთან;
- წარდგენილი დოკუმენტაციის შედარება შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მოსარგებლებისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმება

მიმწოდებლის შემოწმებას პერიოდულად ახორციელებს ქვეპროგრამის განმახორციელებელი. შემოწმებისას ხდება მიმწოდებელთან უფლებამოსილი პირის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, მშობელთან/პირის კანონიერ წარმომადგენელთან და მიმწოდებელთან დასაქმებულ პერსონალთან გასაუბრება.

თუ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეესაბამება შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ასეთი შემთხვევაში, ანაზღაურებას არ ექვემდებარება ის თანხა, რომელიც არ დასტურდება შემოწმების შედეგების მიხედვით.

3.3.3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის დაფინანსება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებით დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები. აღნიშნული დადგენილების მე-3 დანართი განსაზღვრავს „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესს“.¹⁵

¹⁵ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“; იხ. კონსოლიდირებული ვერსია. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959291>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარებო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 3 300 000 ლარს. აღნიშნული ხარჯი კლასიფიცირებულია, როგორც „სოციალური უზრუნველყოფა“.

ბენეფიციართა მომსახურება ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუნერის საშუალებით, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 400 ლარისა.

ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 850 ბენეფიციარი.

მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სესიები, რომლის ღირებულება შეადგენს 20 ლარს და ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, თვეში ფინანსდება არაუმეტეს 20 სესიები (მოსარგებლის/პაციენტის მხრიდან თანაგადახდის გარეშე), ხოლო დამატებითი სესიების ღირებულება შესაძლებელია ანაზღაურდეს მოსარგებლის (პაციენტის) მხრიდან.

წესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ის, რომ იგი იძლევა ბენეფიციართა მხრიდან თანადაფინანსების შესაძლებლობას, თუ მერიის მხრიდან დაფინანსებული - 20 სესიები თვიურად - საკმარისი არ არის ბენეფიციარისათვის.

ქვეპროგრამის მოსარგებლები

ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც:

- 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს, მიუხედავად დიაგნოზისა;
- ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში – ბოლო 2 წლის) განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 3 (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში – 2 წლის) წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში;
- იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, თბილისში რეგისტრაციის შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ წინა პუნქტში აღნიშნულ რეგისტრაციის ვადებს.

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებების დაფინანსება:

- ქვეპროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება;
- ქვეპროგრამის მოსარგებლისათვის თვეში არაუმეტეს 20 სეანსის მიწოდება, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად. თითოეული სეანსის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 საათს;
- ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება.

მიმწოდებელი დანესებულებისათვის დადგენილი კრიტერიუმები

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ჰქონდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურების განხორციელების სულ მცირე 1 წლიანი გამოცდილება;
- ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდის – ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი და სხვა – ჩართულობით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი (10 მოსარგებლებზე არანაკლებ 1 თერაპევტი), რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და აქვს განსაზღვრული გამოცდილება;
- აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი (სუპერვაიზერი), გარდა ამისა, აუცილებელია ჰყავდეს, სულ მცირე, ერთი ქცევითი თერაპევტი (სუპერვაიზერი), რომელსაც აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის საერთაშორისო სერტიფიკატი (BCaBA, BCBA), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმწოდებელი ქვეპროგრამაში 2018 წლის მაისამდე უკვე იყო რეგისტრირებული;
- ჰყავდეს დიპლომირებული სპეციალისტი ოკუპაციურ თერაპიაში ან მომიჯნავე სპეციალობაში (ფიზიოთერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, ფსიქოლოგი), რომელსაც გავლილი აქვს საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი და აქვს ოკუპაციური/სენსორული თერაპიის დამოუკიდებლად ჩატარების სულ მცირე 1-წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- ჯგუფში მოსარგებლების მინიმალური რაოდენობა უნდა იყოს 2 და მაქსიმალური 4, ხოლო ყოველი 2 მოსარგებლისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული 1 შესაბამისი სპეციალისტი.

პირის/ორგანიზაციის მიერ, ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება და მიმწოდებლად ცნობა ხორციელდება ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

მოსარგებლეთა ჩართვა ქვეპროგრამაში

ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ განმახორციელებელთან წარმოდგენილი სიის შესაბამისად და ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას.

მიმწოდებელი ქვეპროგრამაში ჩართვისას განმახორციელებელთან წარმოადგენს სიას მასთან აღრიცხვაზე მყოფი იმ პირების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ წესით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ქვეპროგრამის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მოსარგებლე რეგისტრირდება „აუთენტიზაციის შედეგებისა და მართვის ელექტრონულ მოდულში“.

ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით დაინტერესებულმა პირმა (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) უნდა მიმართოს მიმწოდებელს განცხადებით.

მოსარგებლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააჩნია არჩევანის უფლება მიმწოდებელი დაწესებულების არჩევნისას. ამასთან, მოსარგებლეს აქვს უფლება, ერთჯერადად შეიცვალოს დაწესებულება. ამისათვის, ის განცხადებით მიმართავს იმ მიმწოდებელ დაწესებულებას, რომელშიც სურს გადასვლა.

ანგარიშგება

მიმწოდებელი ვალდებულია განმახორციელებელს ყოველთვიურად წარუდგინოს საანგარიშგებო დოკუმენტაცია. ანგარიშგებისას მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა), ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის შემთხვევათა რეესტრი, აგრეთვე, აღნიშნული წესის მე-5 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შესრულებულ მომსახურებად ჩაითვლება საანგარიშგებო თვეში მოსარგებლისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა.

ქვეპროგრამის მიმდინარეობისას შემოწმება და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება

თბილისის მერია პერიოდულად ამოწმებს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. მერიის შესაბამისი სამსახური ასევე ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის (საანგარიშგებო დოკუმენტაციის) ინსპექტირებას, რომლის დროსაც ხდება:

- მოსარგებლის იდენტიფიცირება;
- ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტში (ანგარიშ-ფაქტურაში) მითითებული თანხის შედარება შემთხვევათა რეესტრში ცალკეულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან;
- წარდგენილი დოკუმენტაციის შედარება შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

სრულყოფილად წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს ანგარიშზე (საანგარიშგებო დოკუმენტებზე) ფორმდება პირველადი მიღება-ჩაბარების აქტი.

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

შემთხვევების კლასიფიცირება (შემთხვევა ასანაზღაურებელია, არ ექვემდებარება ანაზღაურებას) ხდება დოკუმენტების ინსპექტირების პროცესში. იმ შემთხვევებზე, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას, მიმწოდებლებსა და ქვეპროგრამის განმახორციელებელს შორის ფორმდება მეორადი მიღება-ჩაბარების აქტი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელს უფლება აქვს, ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შედგენილი შემონგების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელს გაუუქმოს რეგისტრაცია და ქვეპროგრამის მიმწოდებლის სტატუსი.

3.3.4. ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილებით დამტკიცებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები“. აღნიშნული დადგენილების მე-7 დანართი ადგენს ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესს.¹⁶

ქვეპროგრამა გულისხმობს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სათემო მომსახურების მიწოდების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მოსარგებლებს წარმოადგენენ ფსიქიკური ან/და ქცევითი აშლილობის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქ. თბილისში. პროგრამის მიზანია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 400 000 ლარს. შესაბამისი ხარჯები კლასიფიცირებულია, როგორც „სოციალური უზრუნველყოფა“.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალურ ფორმის ვაუჩერის მეშვეობით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები, პირობითად, შეგვიძლია დავყოთ 2 კატეგორიად:

1. ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში, რომელიც ითვალისწინებს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირების უწყვეტ მეთვალყურეობასა

¹⁶ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №8-22 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“; იხ. კონსოლიდირებული ვერსია. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959291>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

და მკურნალობის პროცესს სპეციალიზებული კრიზისული ინტერვენციის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და მოიცავს:

- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ კრიზისული ინტერვენციის განხორციელებას ქვეპროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას, კრიზისული ინტერვენციის ცენტრში და მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ პირის საცხოვრებელ ადგილზე ან/და სასწავლო დაწესებულებაში;
- დღის სტაციონარში გეგმურ ამბულატორიულ კონსულტაციებს;
- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პირის შეფასებას, ინტერვენციის ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას, იმპლემენტაციასა და მონიტორინგს;
- წინა პუნქტებში აღნიშნული მომსახურებების შეფასებისა და ინტერვენციის გეგმის წარდგენას ქვეპროგრამის განმახორციელებელთან, ხოლო ინტერვენციის გეგმის ცვლილების შემთხვევაში, კორექტირებული ინტერვენციის გეგმის წარდგენას;
- ინტერვენციის გეგმის ფარგლებში ინდივიდუალური თერაპიების განხორციელებას;
- საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ფსიქიატრიულ კონსულტაციებს;
- მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ მოსარგებლის მონიტორინგს ბინაზე ან/და სასწავლო დაწესებულებაში ქვეპროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას;

2. აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა, რომელიც მოიცავს:

- მულტიდისციპლინური მობილური გუნდის მიერ მოსარგებლეთა შეფასებასა და აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობის ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას;
- რეგულარულ ვიზიტებს, არანაკლებ თვეში 6 ვიზიტს საცხოვრებელ ადგილზე, 24-საათიან სატელეფონო კონსულტაციას;
- მოსარგებლეთა სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგს;
- მოსარგებლისა და ოჯახის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ფსიქოგანათლებას;
- ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში პირის სტაციონირების უზრუნველყოფას;
- 24 საათის განმავლობაში მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის წევრის – ექიმი-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის მოსარგებლები

1-ლი კატეგორიის მომსახურების მოსარგებლები არიან შესაბამისი ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დიაგნოზის მქონე 5-15 წლის ასაკის მოქალაქეები;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

მე-2 კატეგორიის მომსახურების (აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა) მოსარგებლები არიან შესაბამისი დიაგნოზის მქონე 18 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეები, გარდა სახელმწიფო პროგრამის – „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ (პროგრამული კოდი: 35 03 03 01) დანართი №12-ის მე-3 მუხლის პირველი და მე-5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლებისა.

მიმწოდებლის კრიტერიუმები

მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ყველა მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, ორწლიანი გამოცდილება.

მიმწოდებლად ცნობა ხორციელდება განმხორციელებლის მიერ.

1-ლი კატეგორიის მომსახურების მიმწოდებელი დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა ჰყავდეს მულტიდისციპლინური გუნდი, ყოველ 30 მოსარგებლებზე;
- უნდა შეეძლოს შესაბამისი მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობის უზრუნველყოფა: 1 ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრი-ფსიქოთერაპევტი (გუნდის ხელმძღვანელი), 3 ფსიქოლოგ-ფსიქოთერაპევტი ან/და ექიმი-ფსიქოთერაპევტი, 1 დამხმარე კოთერაპევტი, 1 სოციალური მუშაკი, 1 ექთანი;
- წესი დამატებით განერს მულტიფუნქციური გუნდის წევრების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

მე-2 კატეგორიის მომსახურების მიმწოდებელი დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა ჰყავდეს მულტიდისციპლინური გუნდი ყოველ 50 მოსარგებლებზე;
- უნდა შეეძლოს შესაბამისი მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობის უზრუნველყოფა: 1 ექიმი-ფსიქიატრი, 1 ფსიქოლოგი, 1 ოკუპაციური თერაპევტი, 1 თანაგანმანათლებელი, 1 უმცროსი ექიმი ან/და ექთანი, 1 სოციალური მუშაკი;
- ამასთან, წესი ადგენს დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს მულტიფუნქციური გუნდის წევრებისათვის;

დაფინანსების მეთოდოლოგია და დაფინანსების წესი

1-ლი კატეგორიის მომსახურება ფინანსდება:

- ვაუჩერის საშუალებით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 300 ლარისა;
- ინტერვენციის გეგმით განსაზღვრული არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ინტერვენცია, რომლის ღირებულება შეადგენს 25 ლარს;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

- ინტერვენციის გეგმის შესაბამისად, თვეში, არაუმეტეს 12 ინტერვენცია (მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე), ხოლო დამატებითი ინტერვენციების ღირებულება ანაზღაურდება მოსარგებლის მხრიდან;
- ერთ მოსარგებელზე წელიწადში არაუმეტეს 4 თვის ვაუჩერი (არაუმეტეს 48 ინტერვენცია).

მე-2 კატეგორიის მომსახურება ფინანსდება:

- ვაუჩერის საშუალებით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 250 ლარისა.

დაფინანსება ხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების სრული მოცულობა განახორციელოს ვაუჩერის დაფინანსების ფარგლებში, ქვეპროგრამის მოსარგებლის მხრიდან თანაგადახდის გარეშე. ბენეფიციარს უფლება აქვს დააფინანსოს დამატებითი მომსახურება.

მოსარგებლების ჩართვა ქვეპროგრამაში

1-ლი კატეგორიის მომსახურების მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვა შესაძლოა განხორციელდეს წესის შესაბამისად გამოვლენილ მიმწოდებელთან მოსარგებლის მიმართვის შემთხვევაში;

მე-2 კატეგორიის მომსახურების მოსარგებლეთა ქვეპროგრამაში ჩართვა შესაძლოა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ რეგისტრაციისას, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან წარმოდგენილი სიის შესაბამისად და ქვეპროგრამაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას.

ქვეპროგრამის მიმდინარეობისას შემოწმება და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება

განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს მიმწოდებლის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას.

შესაბამისი საქალაქო სამსახური ასევე ახორციელებს შესრულებული სამუშაოს ანგარიშის (საანგარიშგებო დოკუმენტაციის) ინსპექტირებას, რომლის დროსაც ხდება:

- მოსარგებლის იდენტიფიცირება;
- ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თანხის შედარება საანგარიშგებო დოკუმენტაციის შემთხვევათა რეესტრში ცალკეულ მომსახურებაზე განეული ხარჯის ჯამურ ოდენობასთან;
- წარდგენილი დოკუმენტაციის შედარება შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

სრულყოფილად წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ანგარიშზე (საანგარიშგებო დოკუმენტებზე) ფორმდება პირველადი მიღება-ჩაბარების აქტი.

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

შემთხვევების კლასიფიცირება (შემთხვევა ასანაზღაურებელია, არ ექვემდებარება ანაზღაურებას) ხდება დოკუმენტების ინსპექტირების პროცესში. იმ შემთხვევებზე, რომლებიც ექვემდებარება ანაზღაურებას მიმწოდებელსა და ქვეპროგრამის განმახორციელებელს შორის ფორმდება მეორადი მიღება-ჩაბარების აქტი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელს უფლება აქვს, ინსპექტირების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი შემოწმების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელს გაუუქმოს რეგისტრაცია და ქვეპროგრამის მიმწოდებლის სტატუსი.

3.3.5. ვაუჩერული დაფინანსების პრინციპები და კარგი პრაქტიკის საფუძვლები

ზემოთ აღწერილი მაგალითების შედეგად, გამოიკვეთა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებების ვაუჩერული დაფინანსების პრინციპები:

- ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა გათვალისწინებულია ბიუჯეტით, რომელიც მტკიცდება საკრებულოს მიერ;
- პროგრამის განხორციელების ნორმატიული წესი მტკიცდება საკრებულოს მიერ, რაც დამატებით უზრუნველყოფს მის გამჭვირვალობასა და საჯაროობას;
- ვაუჩერული დაფინანსება გაიცემა უშუალოდ ბენეფიციარზე, არაგანადებადი ვაუჩერის ფორმით, ხოლო ვაუჩერით ანაზღაურდება მომსახურების ხარჯები/ღირებულება;
- მომსახურების მიმღებს უფლება აქვს, თავად აირჩიოს მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება. ამასთან, მას უფლება აქვს, გარკვეული გარემოებების შემთხვევაში, შეცვალოს მომსახურების მიმწოდებელი;
- მუნიციპალიტეტი არ ზღუდავს მომსახურების მიმწოდებლების ჩართვას პროგრამაში კონკრეტული დაწესებულებების შემოფარგლული წრით;
- მუნიციპალიტეტი ადგენს კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა გააჩნდეს მომსახურების მიმწოდებელს და რელევანტურია გასაწევ მომსახურებასთან;
- მუნიციპალიტეტი ადგენს მომსახურებათა ღირებულების ზედა ზღვარს, რითაც ერთი მხრივ, ზოგავს ხარჯებს, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას აძლევს მიმწოდებლებს გადაწყვიტონ პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობა და მომგებიანობა;
- მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესები უმეტეს შემთხვევაში, ითვალისწინებენ ბენეფიციართა მხრიდან დამატებითი მომსახურებების თანადაფინანსების შესაძლებლობას;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

- მუნიციპალიტეტს გააჩნია მომსახურების მიმწოდებლის კონტროლის მექანიზმები, ასევე, უფლება არ აანაზღაუროს გარკვეული შემთხვევები, თუ მომსახურება არ განხორციელებულა ან განხორციელდა შესაბამისი მოთხოვნების დაუცველად; მეტიც, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მოახდინოს მომსახურების მიმწოდებლის დისკვალიფიკაცია თუ იგი არღვევს შესაბამისი ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტების მიერ ვაუჩერული დაფინანსების პროგრამების დამტკიცებისას, აუცილებელი არ არის ზემოთ მითითებული ყველა პრინციპის დაცვა. კანონმდებლობა ამის ვალდებულებას მუნიციპალიტეტებს არ აკისრებს და მათ შეუძლიათ თავიანთი შეხედულების მიხედვით გაითვალისწინონ განსხვავებული პრინციპები. თუმცა, ვაუჩერული დაფინანსების წესის შემუშავებისას, აუცილებელია, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა, დამტკიცებული იქნეს ნორმატიული აქტის ფორმით, არ მოხდეს მიმწოდებელთა დისკრიმინაცია, ვაუჩერი გაიცეს ინდივიდუალურ მომხმარებელზე და მას საშუალება ჰქონდეს თავად აირჩიოს მომსახურების მიმწოდებელი.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი პროგრამა ერთობლივად ფინანსდება თბილისის მუნიციპალიტეტისა და საერთაშორისო/ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული ორგანიზაციები წარმოადგენენ, როგორც ქვეპროგრამის თანადაფინანსებლებს, ასევე შესაბამისი მომსახურებების მიმწოდებლებს.

მნიშვნელოვანია, ასევე გათვალისწინებული იქნეს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება მხოლოდ ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებასა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე. სხვა მომსახურებების ვაუჩერული დაფინანსება აღნიშნულ გამონაკლისს არ ექვემდებარება.

4. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ და სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) ფორმები

4.1. სახელმწიფო დახმარების (სუბსიდიების) ფორმები

კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელიც მუნიციპალიტეტებმა შეიძლება გამოიყენონ სოციალური მომსახურებების განხორციელებისა და ამ მიზნით შესაბამისი გარე წყაროების დასაფინანსებლად, არის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დაშვებული სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) მექანიზმი.

აღნიშნულ კანონში ცალკე თავი (მე-3 თავი) ეთმობა სახელმწიფო დახმარების მექანიზმებს. ამ ქვეთავში განწერილი ნორმები, გარკვეულ შემთხვევებში, უშვებენ, როგორც ინდივიდუალური

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

მომხმარებლების, ასევე ეკონომიკური აგენტების სუბსიდირებას სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველობების მხრიდან.

ეკონომიკური აგენტის განმარტება მოიცავს, როგორც მენარმე სუბიექტებს, ასევე არასამხარამო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს.

აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, აკრძალულია ეკონომიკური აგენტისათვის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მუხლის მე-2 პუნქტი კი, ადგენს, რომ შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას, თუ ის:

- გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას;
- მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენის ან ფორსმაჟორული გარემოების შედეგების აღმოფხვრას;
- მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი ღონისძიების განხორციელებას;
- მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;
- გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით.¹⁷
- მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტის განხორციელებას, თუ ამის თაობაზე საქართველოს მთავრობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ადგენს იმ სახელმწიფო დახმარების სახეობებსაც, რომელიც საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას. კერძოდ, სააგენტოსთან შეთანხმებით შეიძლება დაშვებულ იქნეს სახელმწიფო დახმარება, რომელიც მნიშვნელოვნად არ ზღუდავს კონკურენციას ან არ ქმნის მისი მნიშვნელოვნად შეზღუდვის საშიშროებას და რომელიც გაიცემა:

- გარკვეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისათვის;
- კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტის მიზნებისთვის და სოციალური მომსახურებების მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ზემოთ აღწერილი სახელმწიფო დახმარების (სუბსიდიების) ზოგიერთი ფორმა, რომელიც არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას. კერძოდ:

- დახმარება, რომელიც გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით;

17 ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

- დახმარება, რომელიც გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით;
- დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;

პირველი ტიპის დახმარების გაცემის გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ასეთმა დახმარებამ არ უნდა გამოიწვიოს შესაბამისი საქონლის/ მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაცია.

ამასთანავე, კანონი ადგენს, რომ ასეთი დახმარება გაიცემა ინდივიდუალურ მომხმარებლებზე (ფიზიკურ პირებზე) და სოციალური დახმარების სახით.

ასეთი დახმარების ერთ-ერთ ფორმად შესაძლებელია, განხილულ იქნეს ზემოთ აღწერილი ვაუჩერული დაფინანსების პრაქტიკა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს საკუთარი შეხედულებით აირჩიოს მომსახურების მიმწოდებელი. ეს პრაქტიკა გამორჩეულია იმითაც, რომ არ ახდენს მიმწოდებელთა წრის შეზღუდვას კონკრეტული დანესებულებებით და ყველა იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურებების პირობებს, უფლებამოსილია ჩაერთოს პროგრამაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური მომხმარებლის სოციალური დახმარება არ არის აუცილებელი, რომ გაიცეს ვაუჩერული დაფინანსების ფორმით. ეს, ასევე შესაძლებელია განხორციელდეს კომუნალური მომსახურების დაფინანსების, შემწეობის, საყოფაცხოვრებო ხარჯების ანაზღაურებისა თუ საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა ფორმებით. ამ მხრივ, სახელმწიფო დახმარების გამცემი შეზღუდული არ არის სუბსიდირების ფორმის არჩევისას.

რაც შეეხება ინდივიდუალურ სახელმწიფო დახმარებას, რომელიც გაიცემა უმნიშვნელო ოდენობით, მისი გაცემის წესს უფრო მეტად აკონკრეტებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №529-ე დადგენილება „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“.¹⁸

ეს წესი ვრცელდება მხოლოდ იმ სახელმწიფო დახმარებაზე, რომელიც გაიცემა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების სახით, უმნიშვნელო ოდენობით და ასევე იმ დახმარებაზე, რომელიც საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ სხვა დახმარებებზე, რომელიც სააგენტოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს ეს წესი არ ვრცელდება.

წესი მკაფიოდ და იმპერატიულად ადგენს, რომ სახელმწიფო დახმარების გაცემისას დაცული უნდა იყოს არასადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპები.

რაც შეეხება სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის დეფინიციას, იგი მოცემულია აღნიშნული წესის მე-7 მუხლში. კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ამ წესით განსაზღვრული სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესი არ მოქმედებს სახელმწიფო დახმარებებზე, რომელთა მოცულობა ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ აღემატება 400 000 ლარს.

¹⁸ იხ. კონსოლიდირებული ვერსია. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2488751>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

ამასთანავე, სოფლის მეურნეობის სფეროში ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარებისათვის განსაზღვრულია უფრო დაბალი ზღვრული ოდენობები. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედ ერთ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება, ჯამურად, ზედიზედ 3 ფისკალური წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „კონკურენციის შესახებ“ კანონით, ასევე „ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობისა და სახელმწიფო დახმარების გაცემის ზოგადი წესით“ ურთიერთდამოკიდებული პირები განიხილებიან, როგორც ერთი ეკონომიკური აგენტი.

რაც შეეხება სახელმწიფო დახმარებას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას, უნდა აღინიშნოს, რომ კანონი არ განმარტავს თუ რა ტიპის უფლებათა და მოვალეობათა შესრულებას მიემართება ასეთი ტიპის სახელმწიფო დახმარების შესაძლებლობა. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა საკმაოდ ფართო ხასიათისაა და სახელმწიფო დახმარების გამცემს (მათ შორის თვითმმართველობებს) აძლევს საკმაოდ ფართო დიაპაზონის ქმედებების განხორციელების საშუალებას, თუ ის მიზნად ისახავს კანონისმიერი უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებას.

ასეთი უფლების/ვალდებულების განსახორციელებლად განეული სახელმწიფო დახმარების ერთ-ერთ მაგალითად, შესაძლებელია განხილულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ შპს პირებისათვის ან/და მათი მომსახურე ორგანიზაციებისათვის განეული დახმარება:

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი ადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალურად ეხმარებიან, როგორც ფინანსებით, ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებით.

ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათ შორის, სურსათ-სანოვაგითა და სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა, კომუნალური და სხვა სახის მომსახურება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოთ აღნიშნული დებულებები შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილება და ვალდებულება უზრუნველყოს შპს პირები გარკვეული მომსახურებებით, მათ შორის, უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით.

ეს უფლებამოსილებები/ვალდებულებები შესაძლოა, საფუძვლად დაედოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი სახელმწიფო დახმარების (სუბსიდიის) გაცემის გადანაცვტილებას.

შპს პირთა დახმარება ერთ-ერთია, რომელიც განხილული იქნა მაგალითისათვის, იმ სახელმწიფო დახმარების სახეობის ილუსტრაციისთვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას. თუმცა, ასეთი დახმარებები არ

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

შემოიფარგლება ამ სფეროთი. ასეთი ტიპის სახელმწიფო დახმარება შესაძლოა გაიცეს, ყველა იმ სფეროში, რომელიც შედის სუბსიდიის გამცემი სუბიექტის კომპეტენციაში და ასეთი უფლებამოსილებები/ვალდებულებები განერილია საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით.

სახელმწიფო დახმარების (სუბსიდიების) ამ ქვეთავში განხილულ სახეობებთან მიმართებით, ასევე უნდა განიმარტოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის რამდენიმე ასპექტი:

აღნიშნული კანონით, სახელმწიფო დახმარება (სუბსიდია) განიმარტება, როგორც „ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს გადასახადისაგან გათავისუფლებას, გადასახადის შემცირებას ან გადავადებას, ვალის ჩამოწერას, რესტრუქტურისაციას, სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემას, საოპერაციო აქტივების გადაცემას, ფულადი დახმარების განევას, მოგების მიღების გარანტიის მიცემას, შეღავათების მინიჭებას და სხვა.“

როგორც განმარტებიდან ჩანს, კანონი ჩამოთვლის სახელმწიფო დახმარების სახეობებს, თუმცა, ეს ჩამონათვალი არ არის შემზღუდავი და ამომწურავი. მაშასადამე, სუბსიდიის გამცემს უფლება აქვს, განსაზღვროს სხვა ტიპის დახმარებებიც.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ადგენს სახელმწიფო დახმარების გამცემ სუბიექტებს, მათ შორის, მითითებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სუბსიდიის მიმღები ეკონომიკური აგენტი განიმარტება, როგორც „პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, სანარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას;“

აღნიშნული განმარტებებიდან ნათელია, რომ სახელმწიფო დახმარების მიმღები შესაძლოა იყოს, როგორც სამეწარმეო სუბიექტი, ასევე არასამეწარმეო იურიდიული პირი.

4.2. სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) მუნიციპალური მაგალითები

4.2.1. სახელმწიფო დახმარება, რომელიც გაიცემა ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით.

წინა ქვეთავში აღინიშნა, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი უშვებს სახელმწიფო დახმარების გაცემას ინდივიდუალური მომხმარებლისათვის სოციალური დახმარების სახით, იმ პირობით, რომ დახმარება არ გამოიწვევს შესაბამისი საქონლის/მომსახურების მწარმოებლის დისკრიმინაციას.

საქართველოს მუნიციპალიტეტების პრაქტიკაში არსებობს ასეთი დახმარების არაერთი მაგალითი, რომლებიც დადგენილია შესაბამისი ნორმატიული წესების საფუძველზე. მართალია,

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამართლის და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახლეობის სფეროში“

ასეთი ნორმატიული აქტები მიღების საფუძვლებში არ მიუთითებენ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებზე და ძირითადად, ეყრდნობიან მხოლოდ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, თუმცა, ასეთი შემთხვევები, თავისუფლად შეიძლება მოექცეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სახელმწიფო დახმარების დეფინიციის ქვეშ.

განვიხილოთ ერთ-ერთი ასეთი მაგალითი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ სამედიცინო და სოციალური დახმარების გაცემის წესი

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №47-ე დადგენილებით დამტკიცებულია „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამა.“¹⁹

აღნიშნული პროგრამა ეფუძნება და განსაზღვრავს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების“ ღონისძიებების განხორციელების პირობებს.

პროგრამა, მათ შორის, განსაზღვრავს: ა) აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ფინანსური დახმარების წესს და ბ) დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ პირების ფინანსური დახმარების პროცედურას.

ზოგადად, „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამით“ გათვალისწინებული დახმარებით მოსარგებლე პირები არიან მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირები სარეგისტრაციო მონმობის შესაბამისად).

პროგრამით მოსარგებლე პრიორიტეტულ ჯგუფებს განეკუთვნებიან:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;
- მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი პირები და მათი ოჯახის წევრები;
- ვეტერანი, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ;
- მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი;
- მარტოხელა პენსიონერი;
- მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი და მისი არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი;
- მრავალშვილიანი ოჯახები (ოჯახი ოთხი და მეტი შვილით).

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად პირი რეგისტრირებული უნდა იყოს მცხეთის მუნიციპალიტეტში განცხადებით მიმართვამდე 3 თვით ადრე მაინც.

¹⁹ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის დადგენილება №47 „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“. იხ. კონსოლიდირებული ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4148242>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

პროგრამა, დახმარებების სახეების მიხედვით, ცალ-ცალკე განსაზღვრავს მასში ჩართვისა და განხორციელების მექანიზმებს:

აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დახმარება

პროგრამით მოსარგებლები არიან აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირები.

დახმარება გაიცემა კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით (კონკრეტული ფსიქოთერაპია – ქცევითი თერაპიის კურსი).

დახმარება გაიცემა კვარტალში ერთხელ, არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა.

დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ პირების ფინანსური დახმარება

პროგრამით მოსარგებლები არიან აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სპეციალიზებულ დაწესებულებებში (დღის ცენტრი).

დახმარება გაიცემა თვეში ერთხელ კონკრეტული საჭიროების შესახებ წარმოდგენილი კალკულაციის მიხედვით (კონკრეტული ფსიქოთერაპია – ქცევითი თერაპიის კურსი).

მოქალაქემ დახმარების მისაღებად მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს განცხადება შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად (მათ შორის, ინფორმაცია მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებიდან ღირებულების შესახებ);

თანხის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების, მათ შორის, აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დახმარების, ასევე დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ პირების ფინანსური დახმარების განვეის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია.

კომისიის წევრთა შემადგენლობა და საქმიანობის წესი მტკიცდება მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

კომისიის სხდომას ესწრება და განხილვაში მონაწილეობას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი იმ მაჟორიტარული ოლქიდან, რომელ ტერიტორიაზეც არის რეგისტრირებული პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამართლის და არასამართლო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

საკრებულოს წევრების მოსაზრება (არსებობის შემთხვევაში) ბენეფიციარის განცხადების დაკმაყოფილების ან უარის თაობაზე წერილობით დაერთვის კომისიის სხდომის ოქმს, რომელიც წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს.

მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების წესი

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხდება მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შესასახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეაბამისად.

ანგარიშგებისას მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს:

- წერილობითი განცხადება;
- ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა);
- გაცემული დაფინანსების დოკუმენტის (საგარანტიო წერილი/რეცეპტი) ქსერო-ასლი;
- ფორმა №IV-100/ა, ასეთი ტიპის დოკუმენტის წარმოების შესაძლებლობის შემთხვევაში.

პრეცედენტის შეფასება

განხილული მაგალითიდან ჩანს, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტი გასცემს ინდივიდუალურ მომხმარებელზე სახელმწიფო დახმარებას.

მცხეთის მიერ ზემოთ აღნიშნული სოციალური დახმარების დაფინანსების პრაქტიკის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი არ ზღუდავს მომსახურებათა პოტენციური მიმწოდებლების წრეს და იგი გაიცემა ინდივიდუალურ მომხმარებელზე. ამ თვალსაზრისით, ის სრულად შესაბამისობაშია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან, ასევე, ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

ამ პრაქტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია ისიც, რომ დახმარების გაცემის წესი რეგულირდება ნორმატიული აქტით, რაც დამატებით უზრუნველყოფს შესაბამისი პროცედურის გამჭვირვალობას.

გამჭვირვალობის დამატებითი გარანტიაა სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის არსებობაც, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ასეთი კომისიის არსებობა დამატებითი გარანტიაა დასაბუთებული და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის.

თუმცა, კომისიასთან დაკავშირებული ნორმების განხილვისას, გამოიკვეთა ერთი სამართლებრივი ლაფსუსი. კერძოდ, პროგრამის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ „ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღების უზრუნველსაყოფად და შესაბამისი დახმარების განვების შესახებ გადაწყვეტილებას

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

იღებს სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია“. პრაქტიკაში კი, კომისია რეალურად, სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიმღებია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ან საკრებულო ან მცხეთის მერი.

აუცილებელია დადგენილებაში მკაფიოდ დაკონკრეტდეს, რომ კომისია არის სარეკომენდაციო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რათა დადგენილება და კომისიის ფუნქციები სრულად შეესაბამებოდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნებს. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მერი, მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს – საბჭოებს და სამუშაო ჯგუფებს. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში განსახილველი კომისია წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომელსაც შესაძლოა ეწოდოს, როგორც საბჭო ან სამუშაო ჯგუფი, ასევე კომისია. აღნიშნულ სათათბირო ორგანოს უფლება აქვს მიიღოს დასკვნა ან რეკომენდაცია.

რაც შეეხება კომისიას, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - ინდ. აქტი - ასეთი გათვალისწინებულია ამავე მუხლის, ამავე პუნქტის „ე.ვ.“ ქვეპუნქტით და იგი იქმნება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში ან/და უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.2.2. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების გაცემის მუნიციპალური მაგალითები

საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებობს მაგალითები, რომელთა თანახმადაც სოციალური მომსახურების სფეროში სუბსიდიები (სახელმწიფო დახმარება) გაცივმა ინდივიდუალურ ეკონომიკურ აგენტებზე (ძირითადად, ა(ა)იპ-ებზე). განვიხილოთ ბათუმისა და ოზურგეთის პრაქტიკა:

4.2.2.1. ბათუმის მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა

ქალაქ ბათუმის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამა (06 02 08). იგი მოიცავს:

- ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების განწევას;
- ა(ა)იპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის“ ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების განწევას;
- ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების განწევას.²⁰

ეს დახმარებები გაიწევა სუბსიდიების სახით.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი სულ შეადგენს 10.600 ლარს.

20 იხ. ქალაქ ბათუმის 2018 წლის ბიუჯეტის კონსოლიდირებული ვერსია. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3959795>

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების ორგანიზაციებისა და ხანდაზმულთა მოვლა-პატრონობის კუთხით მომუშავე ორგანიზაციების ფინანსურ დახმარებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება ხანდაზმულთა მოვლაზე მომუშავე ორგანიზაციების საკანცელარიო, ოფისის, კომუნალური, სამივლინებო და სხვა (საოფისე და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა) ხარჯების დაფარვა. ასეთივე მხარდაჭერა არის გათვალისწინებული ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფინანსური დახმარება გაენევით ყოველი კვარტლის ბოლოს, მათ მიერ წარმოდგენილი წერილის საფუძველზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვარტლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებისათვის გახარჯული თანხის ოდენობა.

აღნიშნული მაგალითი შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც ორგანიზაციისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარება და ასევე, სახელმწიფო დახმარება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას ან მოვალეობის შესრულებას;

მართალია, განხილული მაგალითი წინააღმდეგობაში არ მოდის „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელ ნორმებთან, თუმცა, იგი ვერ აკმაყოფილებს ამავე კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ - უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადანაცვლებების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პრინციპს. ეს დასკვნა გამომდინარეობს სხვადასხვა ფაქტორებიდან, მათ შორის:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ზემოთ აღნიშნულ „საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის“ პროგრამას არ არეგულირებს განსაზღვრული ნორმატიული აქტი.

ასევე ბუნდოვანია, თუ რა კრიტერიუმებით შეირჩა ბენეფიციარი ორგანიზაციები.

მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ეკონომიკური აგენტის სუბსიდირება, თუმცა იგი, ამავე დროს ვალდებულია, დაასაბუთოს სუბსიდირების გადანაცვლებები, არ მოახდინოს მიკერძოებული გადანაცვლებების მიღება და უზრუნველყოს სუბსიდირების მაქსიმალური გამჭვირვალობა.

მოცემულ შემთხვევაში, ყურადღებას ასევე იქცევს ის ფაქტი, რომ ქვეპროგრამა ხორციელდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით, მაშინ, როდესაც არ არის განსაზღვრული ასეთი ორგანიზაციების შერჩევის კრიტერიუმები და ჩართვის პროცედურები.

4.2.2.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიების გაცემის მაგალითები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ქვეპროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს კონკრეტული და წინასწარ განსაზღვრული ორგანიზაციების მომსახურებათა დაფინანსებას.²¹ ასეთი პროგრამებია:

დღის ცენტრის დაფინანსება (კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ „მომავლის სხივი“.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 47800 ლარს.

21 იხ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის კონსოლიდირებული ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4000256>

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

პროგრამით გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ ა(ა)იპ „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით.

ქვეპროგრამის მიზანია დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა. ასევე, „მომავლის სხივის“ ადმინისტრირებაში მყოფი „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ კომუნალური (ბუნებრივი აირი) გადასახადების თანაგადახდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის №30-ე დადგენილებით, დამტკიცებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი.²²

აღნიშნული წესის მე-16 მუხლის თანახმად (დღის ცენტრის დაფინანსების პროგრამა), ა(ა)იპ „მომავლის სხივის“ დაფინანსება ყოველთვიურად, ერთ ბენეფიციარზე, განისაზღვრება არაუმეტეს 150 ლარისა, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ ერთ ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ გახარჯული ბუნებრივი აირის თანხის ანაზღაურება კი, ხდება მოხმარებული კომუნალური მომსახურების დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე, თანხის ჩარიცხვით მომსახურების მიმწოდებელთან, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.

აღნიშნული ქვეპროგრამის განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ დაფინანსების ნაწილში მუნიციპალიტეტი მოქმედებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტითა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების/ვალდებულების განხორციელების ფარგლებში, კერძოდ, ახორციელებს უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ღონისძიებას.

აღნიშნული საკანონმდებლო ვალდებულების შესასრულებლად, მუნიციპალიტეტი იყენებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სუბსიდირების მექანიზმს.

ამასთანავე, მუნიციპალიტეტი ამ ნაწილში აფინანსებს საოჯახო ტიპის სახლის კომუნალურ გადასახადებს. ელექტროენერჯის, გაზისა და წყალმომარაგების შესყიდვაზე კი, არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

რაც შეეხება დღის ცენტრის დაფინანსების კომპონენტს, უნდა აღინიშნოს, რომ უმჯობესი იქნებოდა დღის ცენტრის მომსახურებათა დაფინანსება მომხდარიყო ვაუჩერული ფორმით ან/და სახელმწიფო სუბსიდირება განხორციელებულიყო ინდივიდუალური მომხმარებლისთვის გაწეული დახმარების სახით, ისე, რომ არ მომხდარიყო მიმწოდებლის დისკრიმინაცია.

ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, მათ შორის, დისკრეციული უფლებამოსილებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და არადისკრიმინაციული.

²² იხ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მაისის დადგენილება №30 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“. იხ. კონსოლიდირებული ვერსია. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4177131>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

აქედან გამომდინარე, მართალია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებას აძლევს მოახდინოს სახელმწიფო დახმარების გაცემა, მათ შორის, უმნიშვნელო ოდენობით (დადგენილი ლიმიტის ფარგლებში), ეკონომიკური აგენტის ინდივიდუალური დახმარება ან/და თავისი უფლებამოსილებების/ვალდებულებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო დახმარების გაცემა, თუმცა, ზოგადასამართლებრივი კონტექსტიდან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და სამართლიანი.

მოცემულ შემთხვევაში ბუნდოვანია, თუ რა პრინციპით, კრიტერიუმებითა და წესით შეირჩა კონკრეტული დღის ცენტრი ბენეფიციართა მომსახურებისათვის.

მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება (საბიუჯეტო კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 9 000 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ა.ა).ი.პ. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ადმინისტრირებაში მყოფი „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მაცხოვრებელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის მე-17 მუხლის თანახმად, მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსების პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ადმინისტრირებაში მყოფი „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მაცხოვრებელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვას და სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ გახარჯული ელექტოენერჯის, წყლისა და ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურებას, წარმოდგენილი მოხმარებული კომუნალური მომსახურების დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე, თანხის ჩარიცხვით მომსახურების მიმწოდებელთან, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას/ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფას. ეს ფუნქცია შინაარსობრივად ასევე მოიცავს უსახლკაროთა თავშესაფარში საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფასა და კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას. შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დააფინანსოს უსახლკარო ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურებები და მოახდინოს შესაბამისი კომუნალური გადასახადების სუბსიდირება.

ამასთან, მაგალითის განხილვისას მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ხდება არა ორგანიზაციის პირდაპირი ფინანსირება, არამედ, კომუნალური გადასახადების სუბსიდირება და შესაბამისი მიმწოდებლისგან შესყიდვა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი კი, არ ვრცელდება ელექტროენერჯის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსების წესში არ არის განხორციელებული სხვა ანალოგიური დაწესებულებებისათვის მსგავსი სარგებლის (სუბსიდის) დაწესების შესაძლებლობა. უმჯობესი იქნებოდა, მუნიციპალიტეტს უზრუნველყო აღნიშნული მუნიციპალური დახმარების ხელმისაწვდომობა ყველა იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც პოტენციურად განახორციელებდა ანალოგიური ტიპის მომსახურებას პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული მონაცემი ჯგუფისათვის.

ორგანიზაციის შერჩევის კრიტერიუმების და შესაბამისი დასაბუთების არარსებობის პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სუბსიდირების გადანაცვლების არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპი.

**შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება
(საბიუჯეტო კოდი 06 02 09)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური. ქვეპროგრამის ბიუჯეტია 139 900 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წელს გადაცილებული შშმ პირთა დაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“, არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის „დღის ცენტრის“ მომსახურებით, რაც მოიცავს:

- ბენეფიციართა „დღის ცენტრში“ ტრანსპორტირებას;
- ბენეფიციართა ყოველდღიურ მომსახურებას კვებით;
- ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას;
- ბენეფიციართა სანიტარიულ-ჰიგიენური და ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფას;
- სხვა აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფას;
- ზაფხულის სეზონზე, ბენეფიციარებისათვის სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

- საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“, არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის დაფინანსება ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა ერთ ბენეფიციარზე, ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;
- ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 150 ლარის ოდენობით;
- ქვეპროგრამით ასევე გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (I ჯგუფი)

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების განწესვა 100 ლარის ოდენობით კომუნალური გადასახადების დასაფარად;

წარმოდგენილი მაგალითის განხილვისას, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია განახორციელოს აღნიშნული დღის ცენტრის სუბსიდირება, ვინაიდან, დარგობრივი კანონმდებლობა მუნიციპალიტეტებს პირდაპირ აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოს შშმ პირთა სოციალური და ჯანდაცვითი დახმარება და მომსახურება. ამასთან, დღის ცენტრის მომსახურებათა დაფინანსება არ სცდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების თანხობრივ ლიმიტებს. თუმცა, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს ასეთი გადანაცვლებების დასაბუთებულობა, არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს კომპლექსური მომსახურებები, უმჯობესი იქნებოდა, მომხდარიყო ინდივიდუალური მომხმარებლების ვაუჩერული დაფინანსება.

ამას გარდა, ბუნდოვანია, თუ რა კრიტერიუმებისა და პროცედურის საფუძველზე შეირჩა კონკრეტული ორგანიზაცია დაფინანსების მიზნით.

ამასთან, როგორც აღინიშნა, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეა 18 წელს გადაცილებული შშმ პირი, რომელიც სარგებლობს საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“, არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის „დღის ცენტრის“ მომსახურებით. აღნიშნული, თეორიულად, შეიცავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამავე კატეგორიის პირთა დისკრიმინაციის შესაძლებლობას, რომლებიც არ სარგებლობენ მითითებული დღის ცენტრის მომსახურებით.

დამატებით, ქვეპროგრამის განხორციელების წესში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და ბუნდოვანია, იღებს, თუ არა, მკვეთრად გამოხატული ყველა შშმ პირი ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, თუ ასეთი დახმარება ვრცელდება მხოლოდ მითითებული დღის ცენტრით მოსარგებლე პირებზე.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარებო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

5. პროექტული თანადაფინანსება - პროექტის კომისიური დაფინანსება საკრებულოს ნორმატიული აქტის საფუძველზე

5.1. პრაქტიკის ზოგადი აღწერა

საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მოქმედებს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და საკრებულოს ნორმატიული აქტების საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა კერძო საპროექტო ინიციატივის/პროექტის დაფინანსება/თანადაფინანსება საამისოდ შექმნილი კომისიების გადანაცვებით.

ასეთი პროექტები, ძირითადად, განათლების, ჯანდაცვის და სოციალურ სფეროებში ხორციელდება, თუმცა, რამდენიმე მუნიციპალიტეტში (ქ.თბილისში, ქ. ბათუმში და სხვ.) არის კულტურული სფეროს პროექტების დაფინანსების შესაძლებლობაც.

ასეთი პრაქტიკის მარეგულირებელი შესაბამისი საკრებულოების მიერ დადგენილი წესები, ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული უფლებამოსილებების ნორმებს და იყენებს მათი განხორციელებისათვის დადგენილ მექანიზმებს. რაც მთავარია, ასეთი ნორმატიული აქტები უზრუნველყოფენ დაფინანსების მიმღებ სუბიექტთა შერჩევას გამჭვირვალე და ობიექტური ადმინისტრაციული პროცედურის საფუძველზე.

ასეთი ნორმატიული აქტები, სხვადასხვა შემთხვევაში, პასუხობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დაგენილი სახელმწიფო დახმარებების კრიტერიუმებს, მაგალითად, მიმწოდებლის არადისკრიმინაციულობის კრიტერიუმი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების/ვალდებულებების მიზნით სახელმწიფო დახმარების გაცემის შესაძლებლობა და ა.შ.

განვიხილოთ რამდენიმე ასეთი მაგალითი:

5.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების და მონყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების პროექტების თანადაფინანსების პროგრამა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №34-ე დადგენილებით დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესი.²³

23 იხ. კონსოლიდირებული ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3973170>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

ეს წესი განსაზღვრავს ზუგდიდის მოსახლეობისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, ბენეფიციართა კატეგორიებს, მათ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

აღნიშნული წესით დადგენილი ფულადი სოციალური დახმარების ერთ-ერთ სახედ განსაზღვრულია სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 0603).

აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, შშმ, მრავალშვილიანი, ძალადობის მსხვერპლი, ზრუნვის სისტემიდან გასული, მარჩენალდაკარგული და ა.შ.) ჩართულობას პროექტებში, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური სანარმოების განვითარების ხელშეწყობას.

წარმოდგენილი პროექტების შერჩევა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კომისიის მიერ, მისი დებულების შესაბამისად.

კომისიის საქმიანობა

კომისიის დებულება დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისია ახორციელებს საპროექტო წინადადებების განხილვას და მათზე გადაწყვეტილებების მიღებას.

კომისიაში ჩართულია სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები და ასევე, უზრუნველყოფილია წევრთა როტაცია. კომისია შედგება:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირების; და
- სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან, რომლებსაც ირჩევენ ადგილობრივი არასამთავრობო, მედია და საგანმანათლებლო ორგანიზაციები და დასამტკიცებლად წარუდგენენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს.

კომისია ანგარიშვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წინაშე.

საპროექტო წინადადებები უნდა შემოიფარგლოს შემდეგი საკითხებით:

- სოციალურად დაუცველი ოჯახები და მოწყვლადი ჯგუფები;
- შშმ, სმენა და მეტყველება დაქვეითებული და უსინათლო პირები;
- მრავალშვილიანი ოჯახები;
- მართოხელა მოხუცები და მშობელი;
- დედ-მამით ობოლი ბავშვები;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირები;
- სოციალური სანარმოების ხელშეწყობა;
- საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საპროექტო წინადადებების მიღების წესი

პროექტების მიღება ხორციელდება ღია კარის პრინციპით მთელი წლის განმავლობაში. საპროექტო წინადადება შევსებული და წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისად დამტკიცებული ფორმით.

საპროექტო წინადადების ინიცირების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა), ასევე საინიციატივო ჯგუფს, რომელიც პროექტს განახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის.

საპროექტო წინადადების თანადაფინანსების შემთხვევაში მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნების არაუმეტეს 10%-ს და განმცხადებლის თანადაფინანსების წილი განისაზღვროს მოწოდებული პროექტის ღირებულების არანაკლებ 20%-ით.

საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურები

საპროექტო წინადადების შემოსვლიდან 3 დღის ვადაში პროექტი გადაეცემა კომისიის წევრებს. საპროექტო წინადადებას კომისიის წევრები შეისწავლიან და სათანადო დასკვნას ამზადებენ არაუმეტეს 1 თვის ვადაში.

საპროექტო წინადადებასთან დაკავშირებით კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

არსებობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ადგილზე შეისწავლოს წინა საპროექტო მდგომარეობა.

კომისია საპროექტო წინადადებაზე დადებით დასკვნას წარუდგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, პროგრამით გათვალისწინებული თანხიდან შესაბამისი პროექტის დასაფინანსებლად.

კომისიის წევრები ვალდებული არიან:

- შეისწავლონ საპროექტო წინადადებები;
- საჭიროებისამებრ, მოითხოვონ განმცხადებლისგან პროექტის გასამყარებლად დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის ფინანსური;
- შეისწავლოს საპროექტო წინადადებაში აღწერილი ინფორმაცია;
- ბენეფიციართა შესახებ მონაცემები;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

- ფინანსური და სტატისტიკური მონაცემები;
- განმცხადებლის მიერ პროექტის განხორციელების რეალური შესაძლებლობა;
- პროექტის რეალური საჭიროებები.
- პროექტის მიმდინარეობისას წინასწარი დაუწყების გარეშე განახორციელონ პროექტის მონიტორინგი და მოამზადონ შესაბამისი დასკვნები;
- შეაფასონ პროექტის შედეგები და დასკვნები;
- განუელი სამუშაოს შესახებ მოამზადონ ანგარიშები;

საპროექტო წინადადების თანადაფინანსებაზე თანხმობის წერილის გაცემის წესი განსაზღვრულია შესაბამისი დებულების დანართით.

პროექტის თანადაფინანსებაზე დონორის უარის შემთხვევაში კომისიის მიერ თანხა არ გაიცემა.

ანგარიშების წესი

პროექტის განხორციელების ფარგლებში კომისიას 2-ჯერ უნდა წარედგინოს ფინანსური და პროგრამული ანგარიში, ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმით.

წარმოდგენილი მაგალითის დადებითი მხარეები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტების თანადაფინანსების წესი გვთავაზობს შემდეგ პროგრესულ პრაქტიკულ მაგალითებს, რომლებიც შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს სხვა მუნიციპალიტეტების მიერაც:

- პროექტების თანადაფინანსება გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით;
- პროგრამის განხორციელების წესი დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ;
- პროგრამის განხორციელების მექანიზმი ეფუძნება მუნიციპალიტეტებისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს (მაგ. უსახლკართო თავშესაფრით უზრუნველყოფა, სოციალური დახმარების ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ინოვაციური განვითარების ხელშეწყობა, შშმ პირთა საყოფაცხოვრებო-სოციალური უზრუნველყოფა²⁴ და სხვ.);
- ქვეპროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დადგენილი მექანიზმებით (შესაბამისი პროგრამების/

24 ეს უფლებამოსილება გათვალისწინებულია სპეციალური კანონმდებლობით.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამართლის და არასამართლო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

ქვეპროგრამების შემუშავების/დამტკიცების/განხორციელების უფლებამოსილება, ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება, ნორმატიული აქტის მიღების უფლებამოსილება, სხვა ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება);

- ქვეპროგრამაში შესაძლოა ჩაერთოს შესაბამისი მომსახურების ნებისმიერი მიმწოდებელი, რომლის პროექტიც აკმაყოფილებს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
- საპროექტო წინადადების ინიცირების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა), ასევე საინიციატივო ჯგუფს;
- პროექტის შეფასებას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელშიც ჩართული არიან, როგორც ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები, ასევე საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები;
- შესაბამისი ნორმატიული აქტი ითვალისწინებს საპროექტო განაცხადის, მისი შეფასების და პროექტის აგარიშების ფორმებს; ანგარიშგება ხდება, როგორც შინაარსობრივი, ასევე ფინანსური ასპექტების ქრილში;
- პროექტების მიღება ხორციელდება ღია კარის პრინციპით მთელი წლის განმავლობაში;
- შესაძლებელია პროექტის თანადაფინანსებაზე წინასწარი თანხმობის გაცემა; ასეთი თანხმობის წერილები, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა დონორის მიერ პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას;
- ნორმატიული აქტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას ანიჭებს უფლებამოსილებას დონორის მიერ პროექტის დაუფინანსებლობის შემთხვევაში უარი განაცხადოს პროექტის დაფინანსებაზე;
- კომისიის გადაწყვეტილება არის სარეკომენდაციო ხასიათის, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს მუნიციპალიტეტის მერი - რაც სრულ შესაბამისობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან.

5.3. თბილისის მიერ დაფინანსების გაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-47 დადგენილებით დამტკიცებულია:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის ღონისძიებები“ (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 13) განხორციელების წესი; და
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული და

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04), ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი.²⁵

აღნიშნული წესები ითვალისწინებენ იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების საფუძველზე შესაბამისი პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების საფუძველს.

დადგენილებით დამტკიცებული წესები დაფინანსების არსებითად ერთი და იგივე მექანიზმებს აწესებენ, ამიტომ, წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტში განვიხილავთ განათლების და ახალგაზრდობის პროგრამების დაფინანსების წესებს, ვინაიდან ისინი უფრო რელევანტურია სოციალური მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების სპეციფიკისთვის.

ზოგადად, წესით დამტკიცებული პროცედურა, იგივე წარმატებით, შესაძლოა, გამოყენებული იყოს ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების დაფინანსებისთვის სხვა მუნიციპალიტეტებშიც.

წინამდებარე მაგალითით, ჩვენ ვცდილობთ ილუსტრაცია მოვახდინოთ საპროექტო განაცხადის კომისიური შეფასების საფუძველზე პროექტის დაფინანსების მექანიზმებისა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამის „პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამების განხორციელების პირობებს, დაფინანსების გაცემის წესსა და პროცედურებს.

ამ წესის განხორციელების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შექმნილია კომისია.

კომისიის შემადგენლობაში შედიან, როგორც მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და დარგობრივი ექსპერტები.

დაფინანსების ზოგადი პირობები

ამ წესით განსაზღვრული დაფინანსების მიმღები სუბიექტები შეიძლება იყვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან არასამხარამო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

დაფინანსება შესაძლოა მოიცავდეს პროექტის სახით დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილობრივ ან სრულ ფინანსურ მხარდაჭერას.

25 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-47 დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“. იხ. კონსოლიდირებული ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4090396>



„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამართლო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

პროექტი უნდა ემსახურებოდეს ქ. თბილისის ინტერესებს, დადებითი შედეგის მომტანი უნდა იყოს თბილისში მცხოვრებ პირთათვის და მხოლოდ ამ პირობით შესაძლოა მოიცავდეს ღონისძიებებს თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ.

განცხადების წარდგენა

დაფინანსების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა პროექტის დაწყებამდე არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა უნდა მიმართოს სამსახურს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმით შევსებული საპროექტო განაცხადი.

განცხადების შეფასების კრიტერიუმები

პროექტის დაფინანსების მოპოვების მიზნით განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული ფორმით დეტალურად განერილი პროექტის დასაბუთება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროექტის მიზნების, ამოცანების, პროექტის სამიზნე ჯგუფის, ბენეფიციართა რაოდენობის, განხორციელების ვადებისა და მოთხოვნილი დაფინანსების ზუსტი ხარჯთაღრიცხვის, პროექტის სამოქმედო გეგმის, განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგის, ამ შედეგის შეფასების კრიტერიუმ(ებ)ისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის, როგორც პროექტის მხარდამჭერის წარმომხდინის სტრატეგიის შესახებ.

პროექტი ორიენტირებული უნდა იყოს დადებითი შედეგის მიღებაზე, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამებით და გამოიხატება რომელიმე შემდეგი სახით:

- ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღირებულების შექმნა;
- პროფესიული თუ ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა;
- უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების მხარდაჭერა;
- სპორტის ხელშეწყობასა თუ აღნიშნული პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისი ახალგაზრდული ღონისძიებების უზრუნველყოფა.

პროექტის ბიუჯეტი ოპტიმალური უნდა იყოს პროექტით მისაღებ დადებით ეფექტთან მიმართებაში და უნდა საბუთდებოდეს ბიუჯეტის შესაბამისობა სამოქმედო გეგმასთან, პროექტით განსაზღვრული პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობასა თუ პროექტში განერილ აქტივობებთან;

პროექტის ბიუჯეტის ოპტიმალურობასა და დადებით ეფექტზე ორიენტირებულობას ასევე განსაზღვრავს თანადაფინანსების თუ ხარჯების შემცირების სხვა წყაროების არსებობა და პროექტის მხარდაჭერა იდეალური ტიპის, მათ შორის, მოხალისეობრივი ჩართულობით;

განაცხადების განხილვა და დაფინანსება

საპროექტო განაცხადის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას ამოწმებს სამსახური და ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, განსახილველად წარუდგენს კომისიას.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

კომისია განიხილავს საპროექტო განაცხადს და გასცემს რეკომენდაციას პროექტის სრული დაფინანსების, ნაწილობრივი დაფინანსების, კორექტირების საჭიროების, დაფინანსებაზე უარის ან საპროექტო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 20 000 (ოცი ათას) ლარს, საპროექტო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე იღებს სამსახურის უფროსი.

თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 20 000 (ოცი ათასი) ლარს, დადებითი შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს სამსახურის უფროსს, შემდგომში პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან წარსადგენად.

ხელშეკრულების დადება

სამსახურსა და პროექტის წარმომდგენ იურიდიულ პირს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ხელშეკრულების საგანს, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს წარმოდგენილი და მხარდაჭერილი პროექტის განხორციელების ხელშეწყობა და დაფინანსება/თანადაფინანსება.

ხელშეკრულება ასევე მოიცავს პროექტის განხორციელების კონტროლისა და ანგარიშგების მექანიზმებს და ასევე, ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ სხვა აუცილებელ პირობებს.

პროექტის განხორციელებას აკონტროლებს აღნიშნული სამსახური.

მაგალითის დადებითი მხარეები

თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტების თანადაფინანსების აღწერილი წესი გვთავაზობს შემდეგ პროგრესულ პრაქტიკულ მაგალითებს, რომლებიც შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს სხვა მუნიციპალიტეტების მიერ:

- პროექტების თანადაფინანსება გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით;
- პროგრამის განხორციელების წესი დამტკიცებულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ;
- პროგრამის განხორციელების მექანიზმი ეფუძნება მუნიციპალიტეტებისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს (მაგ. სოციალური დახმარების ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება, ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების ხელშეწყობა და სხვ.);

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

- ქვეპროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დადგენილი მექანიზმებით (შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავების/დამტკიცების/განახორციელების უფლებამოსილება, ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება, ნორმატიული აქტის მიღების უფლებამოსილება, სხვა ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება);
- დაფინანსება შესაძლოა მიიღოს შესაბამისი მომსახურების ნებისმიერმა მიმწოდებელმა (იურიდიულმა პირმა), რომლის პროექტიც აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს;
- პროექტის შეფასებას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი კომისია, რომელშიც ჩართული არიან, როგორც ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები, ასევე საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლები;
- შესაბამისი ნორმატიული აქტი ითვალისწინებს პროექტის შეფასების მკაფიო კრიტერიუმებს, საპროექტო განაცხადისა და პროექტის აგარიშების ფორმებს;
- პროექტების მიღება ხორციელდება ღია კარის პრინციპით მთელი წლის განმავლობაში;
- კომისიის გადაწყვეტილება არის სარეკომენდაციო ხასიათის, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს სამსახურის უფროსი ან თბილისის მთავრობა - რაც სრულ შესაბამისობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან;
- წესი ახალისებს თანადაფინანსების მოძიებას;
- წესი ახალისებს მოხალისეთა ჩართულობას;
- წესი ადგენს საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებს;
- წესი ითვალისწინებს საქალაქო სამსახურის მიერ პროექტის განხორციელების კონტროლს;

6. მუნიციპალიტეტებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირების მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელება თანადაფინანსების საფუძველზე

6.1. პრაქტიკის ზოგადი აღწერა

საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტს პრაქტიკაში დანერგილი აქვს მეთოდი, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივად სასარგებლო პროექტების განხორციელებას მუნიციპალიტეტისა და ორგანიზაციის ერთობლივი თანადაფინანსებით. ასეთი პრაქტიკა, რაც შემთხვევებში, წესრიგდება საკრებულოს მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე, ზოგ შემთხვევაში კი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევებში მუნიციპალიტეტები არ ახორციელებენ რაიმე ტიპის მომსახურებისა და საქონლის შესყიდვას, არამედ, გასცემენ დაფინანსებას მათ კომპეტენციას

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის მიზნით, ისე, რომ სანაცვლოდ არ იღებენ შესყიდვას დაქვემდებარებულ რაიმე ფასეულობას. ასეთი შემთხვევები შესაძლოა, განხილულ იქნეს, როგორც სუბსიდია, სახელმწიფო დახმარება, სოციალური დახმარება ან სოციალური მომსახურება.

განვიხილოთ მაგალითები:

6.2. გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №36 განკარგულებით დამტკიცებულია „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა“.²⁶

პროგრამა ასევე გათვალისწინებულია ქ. გორის 2018 წლის ბიუჯეტში (კოდი 05 05 13).

პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების ფორმით ფინანსდება ყველა ის ორგანიზაცია (ა/იპები და საბიუჯეტო ორგანიზაციები), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის განხორციელების არეალი შემოიფარგლება გორის მუნიციპალიტეტით.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელია გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

განკარგულება ასევე მოიცავს პრობლემის აღწერასა და გადანყვეტის გზების დასაბუთებას. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ:

„გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით არასამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაცია მუშაობს, რომელთა საქმიანობა მიმართულია იმაზე, რომ სოციალური სახის პროექტების განხორციელებით, ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა პრობლემის გადაჭრას და შექმნან მექანიზმები შემდგომში ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად.“

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, ძირითადად, დაკავშირებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებთან და მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ამ კონკურსში გამარჯვების შედეგად მოპოვებული თანხებია. ხოლო საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები, როგორებიცაა: ბალები, ბიბლიოთეკები ან სკოლები, დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით მონაწილეობას იღებენ მსგავს კონკურსებში და საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების დაფინანსებით სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.

გორის მუნიციპალიტეტის მერია დადებითად აფასებს ამ ორგანიზაციების მიერ გამოჩენილ აქტიურობას და მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, აცხადებს მზადყოფნას, გარკვეული თანადაფინანსებით წაახალისოს ყველა ის ქართული არასამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელიც თავისი პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.“

²⁶ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა: <http://gori.gov.ge/files/uploads/აღფ/დადგენილება%20სოციალური%20პროექტების%20თანადაფინანსების%20შესახებ.pdf>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

პროგრამის მიზნები

- გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პროექტების შედეგად სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიური გაძლიერება, პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა, შობადობის წახალისება და მათი ადაპტაცია არსებულ გარემოში;
- ქართული არასამთავრობო და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მუშაობის ხელშეწყობა;

პროგრამით მოსარგებლე

პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსება შეიძლება მიიღოს ყველა იმ ორგანიზაციამ (საბიუჯეტო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები, არარეგისტრირებული კავშირი, ა(ა)იპ-ები და სხვა), რომელიც მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ თანადაფინანსების გაცემის შესაძლებლობას და არ მოიცავს პროექტების სრულად დაფინანსების მექანიზმს.

პროგრამის განხორციელების მექანიზმი

ორგანიზაციები საპროექტო თანადაფინანსების შესახებ განცხადებას და პროექტის ხარჯთაღრიცხვას წარუდგენენ გორის მუნიციპალიტეტის მერიას.

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალური და ჯანდაცვის სამსახური განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მისი მოწონების შემთხვევაში გორის მუნიციპალიტეტის მერია გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას თანადაფინანსების მუნიციპალიტეტიდან განხორციელების შესახებ.

თანადაფინანსების გაცემა ხდება ორგანიზაციასა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის და შესაბამისი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

თანადაფინანსების ანაზღაურება ხდება ორგანიზაციის მიერ სამუშაოს შესრულების ამსახველი დოკუმენტაციის (მაგ.: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, შესაბამისი ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ) წარმოდგენის შემთხვევაში.

მაგალითის დადებითი მხარეები

გორის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა შეიცავს პროგრესულ პრაქტიკულ მაგალითებს, რომლებიც შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს სხვა მუნიციპალიტეტების მიერ:

- პროექტების თანადაფინანსების პროგრამა გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

- პროგრამის განხორციელების წესი დამტკიცებულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ;
- პროგრამის განხორციელების მექანიზმი ეფუძნება მუნიციპალიტეტებისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს (მაგ. სოციალური დახმარების ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების ხელშეწყობა და სხვ.);
- ქვეპროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დადგენილი მექანიზმებით (შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავების/დამტკიცების/განახორციელების უფლებამოსილება, ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება, ნორმატიული აქტის მიღების უფლებამოსილება, სხვა ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილება);
- დაფინანსება შესაძლოა მიიღოს შესაბამისი მომსახურების ნებისმიერმა მიმწოდებელმა, ნებისმიერმა საბიუჯეტო და არასამხარამო ორგანიზაციამ, რომლის პროექტიც აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს, მიმართულია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ და თანადაფინანსების ფორმით მზად არის განახორციელოს პროექტი;
- პროექტების მიღება ხორციელდება ღია კარის პრინციპით მთელი წლის განმავლობაში;
- წესი ახალისებს თანადაფინანსების მოძიებას;
- პროექტი ხორციელდება მუნიციპალიტეტსა და ორგანიზაციას შორის გაფორმებული მემორანდუმისა და ხელშეკრულების საფუძველზე;
- თანადაფინანსების ანაზღაურება ხდება პოსტ-ფაქტუმ, განუული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე;

პროგრამის განხილვისას, ასევე გამოიკვეთა რამდენიმე იურიდიული ლაფსუსი:

- სასურველია, პროგრამა დამტკიცებული იყოს არა განკარგულების, არამედ დადგენილების ფორმით, ვინაიდან თავისი შინაარსით, იგი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია;
- სასურველია, წარდგენილი პროექტების განხილვაში ჩართული იყოს ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები და საზოგადოებრივი ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს საპროექტო განაცხადების განხილვის მეტ გამჭვირვალობას;
- სასურველია, პროგრამამ/პროგრამის განხორციელების წესმა გაითვალისწინოს მკაფიო კრიტერიუმები საპროექტო განაცხადის შეფასებისათვის;
- სასურველია, შესაბამისმა ნორმატიულმა აქტმა განსაზღვროს საპროექტო ანგარიშგებისა და კონტროლის მექანიზმები;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამართლის და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

6.3. თბილისის მიერ სოც. დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის დაფინანსება

ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსების ქვეპროგრამა (კოდი: 06 02 23).27

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სოციალურად დაუცველი მშობლებისა და მათი ოჯახების გაძლიერებისაკენ მიმართული დამხმარე სერვისების განვითარებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება დღის განმავლობაში სოციალურად დაუცველი ბავშვების მშობლებისთვის დღის ცენტრით მომსახურების შეთავაზება. ასევე, მშობლებისათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს მათი ცნობიერების ამაღლებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით.

დღის ცენტრის მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების 6 თვიდან 30 თვემდე ასაკის ბავშვები.

ქვეპროგრამის ბიუჯეტია 75.800 ლარი, რაც წარმოადგენს პროექტის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივ მონაწილეობას. „ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 45 780 ლარს.

ქ. თბილისის ბიუჯეტში თბილისის მერიის წილობრივი მონაწილეობა - შესაბამისი ქვეპროგრამის ხარჯი - კლასიფიცირებულია, როგორც „სოციალური უზრუნველყოფა“.

„ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსების პროგრამის დამატებით დეტალურს აწესრიგებს „ვოლდ ვიჟენ საქართველოსა და ქალაქ თბილისის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმი თანამშრომლობის თაობაზე.

მემორანდუმის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ვოლდ ვიჟენის“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება - შესაბამისად, ქ. თბილისში გლდანის რაიონში მდებარე 107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებული დღის ცენტრის პროექტის თანადაფინანსებით განხორციელება.

„ვოლდ ვიჟენი“ მემორანდუმით კისრულობს რამდენიმე ვალდებულებას, მათ შორის:

- უზრუნველყოს დონორი ორგანიზაციების რესურსებით პროექტის დაფინანსება;
- უზრუნველყოს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე 107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებული დღის ცენტრის ფუნქციონირება, რომელიც ერთდროულად მოემსახურება 6 თვიდან 30 თვემდე ასაკის სოციალურად დაუცველ ბენეფიციარ ბავშვებს;
- ბენეფიციარების (მშობლებს) გაუწიოს დამხმარე მომსახურებები, როგორცაა დასაქმება, პროფესიულ-ტექნიკური მომზადება/გადამზადება, დახმარება კვებისა და ჰიგიენის აუცილებელი პროდუქტებით, მშობლის უნარ-ჩვევების განვითარება კონსულტაციების გზით, ფსიქო-სოციალური განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების მხარდაჭერა.

27 იხ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კონსოლიდირებული ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3925152>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამთავრობო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

იმ შემთხვევაში, თუ „ვორლდ ვიჟენი“ ვერ უზრუნველყოფს მისი წილობრივი თანამონაწილეობის განხორციელებას, მერია უფლებამოსილია გავიდეს მემორანდუმადან.

თბილისის მერია მემორანდუმით კისრულობს რამდენიმე ვალდებულებას, მათ შორის:

- ქ. თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „ვორლდ ვიჟენის“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება - შესაბამისად, ვორლდ ვიჟენისგან განუული ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ უზრუნველყოს მისთვის სათანადო თანხის გადარიცხვა.
- უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მხარდაჭერა საზოგადოების ინფორმირების გზით.

კონკრეტული ბენეფიციარის პროექტის სერვისებში ჩართვა ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაკების რეფერირების საფუძველზე.

7. შშმ პირების დახმარების დაფინანსება

7.1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი მიმოხილვა

კიდევ ერთი კანონი, რომელიც სოციალური პროგრამების, კერძოდ კი, შშმ პირების სოციალური მომსახურების სფეროში მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს განსაზღვრავს, არის საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“.

აღნიშნული კანონის მე-11 მუხლი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ - საყოფაცხოვრებო მომსახურება) ადგენს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათ შორის, სურსათ-სანოვაგითა და სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფა, კომუნალური და სხვა სახის მომსახურება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით.“

ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის ამ კანონით მიკუთვნებულია კიდევ ერთი უფლებამოსილება/ვალდებულება, რომელიც გულისხმობს შშმ პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო (მათ შორის, კომუნალური და სხვა) მომსახურებას და ასეთი მომსახურების წესების დადგენას.

აღნიშნული კანონი ცალკე არეგულირებს შშმ პირების სოციალურ დახმარებასა და სოციალური დახმარების სახეობებს. კანონის 24-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

პირებს სოციალურად ეხმარებიან, როგორც ფინანსებით, ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებით, მათ შორის, უზრუნველყოფენ ავტომობილებით, სავარძელ-ეტლებით, საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით, სპეციალური შრიფტის ნაბეჭდი გამოცემებით, ხმის გამაძლიერებელი აპარატურით და სიგნალიზაციით, აგრეთვე სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის განხორციელებითა და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

კანონი არ აკონკრეტებს იმ სუბიექტთა (ადმინისტრაციულ ორგანოთა) წრეს, რომლებიც უფლებამოსილი არიან გასცენ სოციალური დახმარება შშმ პირებზე. თუმცა, ამავე კანონის 29-ე მუხლის (სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროები) 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ სოციალური დახმარება ხორციელდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით, აგრეთვე ორგანიზაციათა და მოქალაქეთა ნებაყოფილობითი შენატანებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შშმ პირთა სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ადგილობრივ თვითმმართველობებს მრავალმხრივი უფლებამოსილებები და ვალდებულებები გააჩნიათ.

რაც შეეხება შშმ პირთა მომსახურების სხვა ფორმებს, აღნიშნული კანონი რამდენიმე მუხლში პირდაპირ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებს/ვალდებულებებს ამ სფეროში. მაგალითად:

მე-9(1) მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირობები, რათა მათ თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებებით და სპორტული ნაგებობებით, აგრეთვე უზრუნველყონ ისინი სპეციალური სპორტული ინვენტარითა და სხვა საჭირო საშუალებებით.

27(2) მუხლი ადგენს, რომ თუ სარეაბილიტაციო ღონისძიებების შედეგად საჭირო აღარ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფნა პანსიონატში ან სოციალური დახმარების სხვა სტაციონალურ დაწესებულებაში, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები მათ უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართით.“ მათ შორის, ობოლ ან მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ამ კატეგორიის ბავშვებს - სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციას მიეკუთვნება შშმ პირთა დახმარებისა და მომსახურების წესების დადგენაც. თუმცა, ადგილობრივმა ხელისუფლებებმა ასეთი წესების დადგენისას უნდა გაითვალისწინონ, რომ ეს ნორმატიული აქტები უნდა შეესაბამებოდეს მათ კომპეტენციას, არ უნდა არეგულირებდეს ხელისუფლების სხვა ორგანოებისათვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებას და ასევე, უნდა შეესაბამებოდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ასე მაგალითად, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიებით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება საპენსიო და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობით. შესაბამისად, თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო დაადგენს შშმ პირებისათვის პენსიის გაცემის წესს იგი შეიჭრება ცენტრალურ დონეზე კანონით უკვე დარეგულირებული სფეროს კომპეტენციაში.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

რაც შეეხება სოციალური დახმარებისა და მომსახურებების განწესის მექანიზმებს, იგი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველობებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. მათ შორის:

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების გზით;
- სოციალური დახმარების ვაუჩერული დაფინანსების გზით;
- სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) განხორციელების გზით (როგორც ინდივიდუალურ მომხმარებელზე გაცემული დახმარების ფორმით, ასევე უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების ფორმით ან/და დახმარების ფორმით, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით გატვალისწინებული უფლებამოსილების/ვალდებულების განხორციელებას);
- სხვა ფორმებით.

7.2. თბილისის მიერ შშმ პირთა დახმარების დაფინანსება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარებისა და მომსახურების მუნიციპალური წესის კარგ მაგალითს წარმოადგენს თბილისის მიერ შინმოვლის თანადაფინანსების ქვეპროგრამა (კოდი 06 02 26) და შესაბამისი დადგენილება, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ.

ამ პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალური ვაუჩერის ფორმით.

ვინაიდან ეს პროგრამა, შშმ პირების გარდა, ვრცელდება სხვა ბენეფიციარებზე, შშმ პირების დახმარების პრაქტიკის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ იქნება სხვა მაგალითები:

ქ. თბილისის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილებით დამტკიცებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.²⁸

ეს წესი განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების განხორციელების პირობებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 06 02 28 კოდით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში.

ქვეპროგრამა გულისხმობს შშმ პირთა სხვადასხვა საჭიროებებისა და აქტივობების ხელშეწყობის უზრუნველყოფას. კერძოდ:

- შშმ პირებში კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- შშმ პირთა განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა;
- შშმ პირების სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფა;

28 იხ. კონსოლიდირებული ვერსია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2753594>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

ქვეპროგრამის მიზანია: შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის, რომ შშმ პირთა დახმარება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც სოციალური დახმარების (პირდაპირი, ინდივიდუალური მომხმარებლისთვის გაცემული დახმარების) ფორმით, ასევე არამატერიალური ვაუჩერის გაცემის ან საპროექტო წინადადების დაფინანსების გზით.

ქვეპროგრამით მოსარგებლენი

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე - შშმ პირები;
- შშმ პირთა ან/და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები;
- შშმ პირთა სერვისის პროვაიდერი ორგანიზაციები.

ქვეპროგრამით მოსარგებლის განცხადების განხილვის წესი

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ამ წესით განსაზღვრულმა მოსარგებელმა (შშმ პირები, შესაბამისი ორგანიზაციები) ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებით მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს.

აღნიშნული სამსახურისათვის შესაძლებელია ასევე შესაბამისი ორგანიზაციების მიერ საპროექტო განაცხადის წარდგენაც.

განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენის შემდეგ აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზს, აღრიცხვას და წინადადებების მომზადებას უზრუნველყოფს სამსახური. სამსახური განიხილავს ქვეპროგრამით მოსარგებლისათვის დაფინანსების გაცემის შესაძლებლობას და განსაზღვრავს დაფინანსების მიზანშეწონილობას.

შშმ პირთა ხელშეწყობის დაფინანსება ხორციელდება სოციალური დახმარების, არამატერიალური ვაუჩერის ან საპროექტო განაცხადის საფუძველზე.

ზედამხედველობა/შემთხვევების შერჩევითი მონიტორინგი

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებისა და შესრულებული სამუშაოს ანგარიშის ზედამხედველობა ხორციელდება სამსახურის მიერ. შემთხვევების შერჩევითი მონიტორინგი ხდება სამსახურის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

შემთხვევის შერჩევითი მონიტორინგისას ხდება მიმწოდებლებთან მერიის უფლებამოსილი წარმომადგენლის ვიზიტი და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მონოდებული ინფორმაციის გადამოწმება, საჭიროებისამებრ, შშმ პირთან გასაუბრება.

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

შემთხვევითი მონიტორინგი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობის დადგენას.

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

შესრულებულ სამუშაოზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

ხელშეკრულების დადება ხდება შესაბამისი პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან.

განხილული მაგალითის დადებითი მხარეები:

- ქვეპროგრამა გათვალისწინებულია ქ. თბილისის ბიუჯეტით;
- ქვეპროგრამის განხორციელების წესი დადგენილია ქ. თბილისის საკრებულოს მიერ;
- ქვეპროგრამის განხორციელების წესი ეყრდნობა მუნიციპალიტეტისათვის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და სპეციალური კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას;
- ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმები ეყრდნობა მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების მექანიზმებს;
- ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება შესაძლებელია გაიცეს სხვადასხვა ფორმით (ვაუჩერი, საპროექტო დაფინანსება, ინდივიდუალურ მომხმარებელზე გაცემული დახმარება, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით განეული დახმარება, უმნიშვნელო ოდენობის სახელწიფო დახმარება);
- ქვეპროგრამა არ ზღუდავს შესაბამისი მომსახურებების მიმწოდებელი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წრეს;
- ქვეპროგრამა ითვალისწინებს განხორციელებული სამუშაოსა და პროექტების ზედამხედველობისა და მონიტორინგის მექანიზმებს;

რეკომენდაცია:

სასურველია, ქვეპროგრამებით გათვალისწინებული განცხადებებისა და პროექტების განხილვისას უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობა და ეს მკაფიოდ აისახოს ქვეპროგრამის განხორციელების წესში.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

7.3. მცხეთის მიერ შშმ ბავშვების დახმარება და დღის ცენტრის დაფინანსება

ზემოთ უკვე განხილულ იქნა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №47-ე დადგენილებით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამა.“

პროგრამა, მათ შორის, განსაზღვრავს აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა და ასევე, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ პირების ფინანსური დახმარების წესებს.

აღნიშნულ მაგალითს ვრცლად აღარ განვიხილავთ, თუმცა, იგი კარგი პრეცედენტია შშმ პირთა დახმარების პროგრამების დაფინანსების თვალსაზრისით, შემდეგ გარემოებათა გამო:

- პროგრამა გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით;
- პროგრამის განხორციელების წესი დამტკიცებულია საკრებულოს მიერ;
- პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს;
- დაფინანსების გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისია, რომელშიც ჩართულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები და მერის წარმომადგენელი შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში;
- წესი არ ზღუდავს მომსახურებათა პოტენციურ მიმწოდებლების წრეს;
- დახმარება გაიცემა ინდივიდუალურ მომხმარებელზე.

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

8. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მექანიზმები

2018 წლის 4 მაისს მიღებულ იქნა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.²⁹

კანონი ითვალისწინებს საჯარო და კერძო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის ახალ მექანიზმებს.

აღნიშნული კანონის თანახმად, საჯარო და კერძო თანამშრომლობა/საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი არის საჯარო პარტნიორსა და კერძო პარტნიორს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობა, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს და ხორციელდება სამუშაოს შესრულების ან/და საჯარო მომსახურების გაწევის მიზნით, კონცესიის ან არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის სახით;

საჯარო და კერძო თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს საჯარო ინფრასტრუქტურისა და საჯარო მომსახურების ნებისმიერ სექტორში, თუ საქართველოს მთავრობის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

კანონით გათვალისწინებული საჯარო-კერძო თანამშრომლობის მექანიზმები შესაძლოა გამოიყენოს (საჯარო პარტნიორი შეიძლება იყოს) სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო ორგანომ, სსიპ-ებმა, მუნიციპალიტეტებმა, აფხაზეთის ან აჭარის ა/რ ხელისუფლებებმა და ასევე, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი, 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა საწარმებმა.

რაც შეეხება კერძო პარტნიორს, ის შესაძლოა, იყოს ნებისმიერი კერძო სამართლის იურიდიული პირი, მათ შორის, ა(ა)იპ-ი.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმები

საჯარო და კერძო თანამშრომლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- გრძელვადიანობა – საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების მინიმალური ვადაა 5 წელი;
- ღირებულება – 2020 წლის 1 ივლისამდე საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 5 000 000 ლარისა, ხოლო 2020 წლის 1 ივლისიდან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით;
- კერძო პარტნიორის მიერ საჯარო მომსახურების გაწევა ან საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნა და მოვლა-პატრონობა ან/და ოპერირება და მოვლა-პატრონობა;

29 „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. იხ. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4193442>

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

- საჯარო და კერძო პარტნიორებს შორის რისკების განაწილება;
- კერძო პარტნიორის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.

კანონი უშვებს გამონაკლისებს ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით დაწესებული თანხობრივი ლიმიტების თვალსაზრისით. კერძოდ, კანონი ითვალისწინებს მცირე პროექტის განხორციელების შესაძლებლობასაც, რომლის მიმართ მოქმედებს განსხვავებული თანხობრივი ლიმიტები, კონტრაქტორისა და კონცესიონერის შერჩევის პროცედურები და პროექტის ინიცირებისა და შეთანხმების წესები.

მცირე პროექტი განიმარტება, როგორც საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტი, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს (გარდა პროექტის ღირებულების კრიტერიუმისა) და რომლის საპროექტო ღირებულება ნაკლებია კანონითა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ოდენობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად თანხობრივი ლიმიტების მიმართ დაწესებული განსხვავებული კრიტერიუმებისა, მცირე პროექტების მიმართ კვლავინდებურად მოქმედებს გრძელვადიანობის მოთხოვნა, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი ხელშეკრულების ვადა უნდა იყოს მინიმუმ 5 წელი.

კონცესია და არაკონცესიური თანამშრომლობა

ყველა პროექტი, მათ შორის, მცირე პროექტები იყოფა კონცესიად და არაკონცესიურ საჯარო და კერძო თანამშრომლობად.

კონცესია არის საჯარო და კერძო თანამშრომლობა, რომლის დროსაც კონცესიის ხელშეკრულების საფუძველზე კონცესიონერი, მის მიერ გაწეული საჯარო მომსახურების სანაცვლოდ, ანაზღაურებას პირდაპირ ან ირიბად იღებს საბოლოო მომხმარებლისგან ან საჯარო პარტნიორისა და საბოლოო მომხმარებლისგან და რომლის ფარგლებშიც კონცესიონერი საკუთარ თავზე იღებს მნიშვნელოვან საოპერაციო რისკს, რომელიც მოიცავს მოთხოვნის რისკს ან/და მიწოდების რისკს;

არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობა არის საჯარო და კერძო თანამშრომლობა, რომლის დროსაც არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე კონტრაქტორი მის მიერ საჯარო მომსახურების გაწევის ან/და საჯარო ინფრასტრუქტურის მიწოდების სანაცვლოდ ანაზღაურებას იღებს საჯარო პარტნიორისგან და რომელიც იმავდროულად არ არის კონცესია კანონის შესაბამისად.

კონცესიური თანამშრომლობის ერთ-ერთ მაგალითად, შესაძლებელია განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიასა და კომპანია „სი-ტი“ პარკს შორის განხორციელებული თანამშრომლობა. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისას „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული არ იყო, ეს ხელშეკრულება აკმაყოფილებს კონცესიისთვის დამახასიათებელ რამდენიმე კრიტერიუმს:

- თანამშრომლობა იყო გრძელვადიანი - პროექტის ვადა აღემატებოდა 5 წელს;
- პროექტის ღირებულება აღემატებოდა 5 000 000 ლარს;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

- კერძო პარტნიორმა მოახდინა პროექტის თანადაფინანსება;
- კერძო პარტნიორი ანაზღაურებას იღებდა საბოლოო მომხმარებლისაგან - პარკირების საფასურისა და ადმინისტრაციული ჯარიმების გარკვეული პროცენტის ფორმით.

პროექტის იდენტიფიცირება

კანონის მე-12 მუხლის თანახმად, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირებას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო ან საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო.

კონცესიის განხორციელების თაობაზე საინიციატივო შეთავაზების შემთხვევაში საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირება შეიძლება ასევე განახორციელოს კერძო ინიციატორმა.

ეს ჩანაწერი არ ეხება მცირე პროექტებს, რომელთა იდენტიფიცირებისა და ინიცირების უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ უფლებამოსილ ორგანოს (საჯარო დაწესებულება).

პროექტის ინიცირება, მომზადება და დამტკიცება

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ინიცირებას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირების შემდეგ უფლებამოსილი ორგანო ამზადებს პროექტის და მას განსახილველად წარუდგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებენ შესაბამის რეკომენდაციებსა და დასკვნას.

ამის შემდეგ, უფლებამოსილი ორგანო პროექტის კონცეფციას საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს რეკომენდაციებთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნასთან ერთად, განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის კონცეფციის მოწონების შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს პროექტის მოსამზადებელ სამუშაოებს და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობას.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მომზადება ხორციელდება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად. აღნიშნული აქტის ფარგლებში უფლებამოსილი ორგანო ამზადებს ფინანსურ, ტექნიკურ და ეკონომიკურ კვლევებს/ანალიზს, რომლებიც, მათ შორის, შეფასდება:

- საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ღირებულება და მისი განხორციელების მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური შედეგები;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამართლებრივ იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

- სახელმწიფოს ფინანსური თანამონაწილეობის შემთხვევაში საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელებისთვის უფლებამოსილი ორგანოს ბიუჯეტის ხელმისაწვდომობა;
- საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასება და უარყოფითი ზემოქმედების შედეგების შესამცირებლად განსახორციელებელი, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები.

უფლებამოსილი ორგანო ამ პროცედურის განხორციელების შემდეგ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მომზადების შედეგებს განსახილველად წარუდგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს შესაბამის დასკვნას.

ამის შემდეგ, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტები და შესაბამისი კვლევები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნასთან ერთად, განსახილველად კიდევ ერთხელ წარუდგინება საქართველოს მთავრობას კერძო პარტნიორის შერჩევის ეტაპის დაწყებამდე.

საქართველოს მთავრობა წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მოწონების, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მოწონებაზე უარის თქმის ან საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის გადამუშავების შესახებ.

საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მოწონების შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანო ამზადებს შერჩევის პროცესის დოკუმენტაციას და იწყებს კერძო პარტნიორის შერჩევის ეტაპს.

მცირე პროექტის მომზადებისა და მოწონების პროცედურა

ზემოთ აღნიშნული პროცედურისგან განსხვავებული წესებია დადგენილი მცირე პროექტებისათვის:

მცირე პროექტის იდენტიფიცირებასა და ინიცირებას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო.

ამის შემდეგ უფლებამოსილი ორგანო პროექტის კონცეფციას წარუდგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო განიხილავს წარდგენილ პროექტის კონცეფციას და უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს თავის რეკომენდაციებს.

საჭიროების შემთხვევაში, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო უფლებამოსილ ორგანოს უწევს დახმარებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მცირე პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში, მის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მცირე პროექტის შეფასების შედეგებს და ფისკალური რისკების შესამცირებლად განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე წინადადებებს

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

წარუდგენს საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოსა და უფლებამოსილ ორგანოს. უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს წარდგენილი წინადადებები.

მცირე პროექტის კონტრაქტორის შერჩევა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო კონცესიონერის შერჩევა აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის 1-ლი-მე-4 პუნქტებისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში მცირე პროექტის ფარგლებში დასადები ხელშეკრულება შეიძლება განსახილველად წარუდგინოს საქართველოს მთავრობას. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

კონცესიონრისა და კონტრაქტორის შერჩევის ზოგადი წესი

კონტრაქტორის (არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის განმახორციელებელი კერძო სამართლის იურიდიული პირი) შერჩევა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონით დადგენილი შესყიდვის საშუალებების გამოყენებით.

რაც შეეხება კონცესიონერის შერჩევას, ამის პროცედურა განსაზღვრულია „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

კონცესიონერის შერჩევას ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო შერჩევის პროცესის საფუძველზე. შერჩევის პროცესი საჯაროა, გარდა სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებთან დაკავშირებული შერჩევის პროცესისა, რომელიც დახურულია.

კონცესიონერის შერჩევის პროცესის ფარგლებში წინადადებების შეფასების კრიტერიუმები ისე უნდა განისაზღვროს, რომ კონკურენციის შეზღუდვა არ გამოიწვიოს. წინადადებების შეფასების კრიტერიუმებად შეიძლება განისაზღვროს:

- საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების ვადა;
- განსახორციელებელი კერძო დაფინანსების ოდენობა;
- შესასრულებელი სამუშაოს/გასაწევი მომსახურების ხარისხი;
- სხვა კრიტერიუმები, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ან აღნიშნული კრიტერიუმების კომბინაცია.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტისთვის წინადადებების შეფასების კრიტერიუმებსა და წესებს განსაზღვრავს უფლებამოსილი ორგანო.

კონცესიონერის შესარჩევად უფლებამოსილი ორგანო საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის შესაბამისად ქმნის შესარჩევ კომისიას.

შესარჩევი კომისიის წევრებად ინიშნებიან:

- უფლებამოსილი ორგანოს ხელმძღვანელი ან/და მისი მოადგილეები;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლები;
- საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა სახელმწიფო ორგანოთა წარმომადგენლები.

შესარჩევ კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მიწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის ექსპერტები და სპეციალისტები.

შესარჩევი კომისია აფასებს წარდგენილ განაცხადებს. შესარჩევი კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით.

კონცესიონერის შერჩევის პროცესის შეფასების შედეგები და საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების შეთანხმებული/მოლაპარაკებული პირობები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნასთან ერთად, განსახილველად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება

კონცესიონერის შერჩევის პროცესში გამარჯვებულად ცხადდება შერჩევის პროცესის მონაწილე, რომელიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და რომლის წინადადება, შესარჩევი კომისიისა და საქართველოს მთავრობის შეფასებით, შეიცავს საუკეთესო პირობებს სხვა მონაწილეთა წინადადებებთან შედარებით.

კონცესიონერის შერჩევის პროცესში გამარჯვებულ მონაწილესთან საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება იდება შერჩევის პროცესის დოკუმენტაციითა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის მხარდაჭერისა და ანაზღაურების სახეები

საჯარო პარტნიორმა კერძო პარტნიორისათვის შეიძლება გაითვალისწინოს სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის შემდეგი სახეები:

- ხელმისაწვდომობის ანაზღაურება ან/და შედეგზე დაფუძნებული ანაზღაურება;
- გარანტიები მოხმარებაზე, მომხმარებლებზე ან შემოსავლებზე;
- გარანტიები ტარიფზე ან/და საჯარო მომსახურების ღირებულებაზე;
- გარანტიები გარკვეული სახის საქონლისა და მომსახურების გრძელვადიან შესყიდვაზე შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ფასით;
- გარკვეული ხარჯებისა და განხორციელებული ინვესტიციების უკუგების დაფარვისკენ მიმართული გრანტები ან/და სუბსიდიები საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის, გრანტები ნატურის სახით;

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამხარამო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მოსახურების სფეროში“

- მინის გადაცემა ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ინტელექტუალურ საკუთრებაზე ექსკლუზიური უფლების გადაცემა კერძო პარტნიორისათვის;
- საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების ობიექტის შექმნისა და მოვლა-პატრონობის ან/და ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის ან/და გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში საჯარო მომსახურების განვცის ექსკლუზიური უფლების მინიჭება კერძო პარტნიორისათვის.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს კერძო პარტნიორის მიერ საჯარო პარტნიორისათვის ფიქსირებული თანხის ერთიანად ან პერიოდულად გადახდას, კერძო პარტნიორის მიერ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე ოპერირების შედეგად მისაღები შემოსავლის ნაწილის საჯარო პარტნიორისათვის გადახდას ან კერძო პარტნიორის საკუთრებაში არსებული ქონების ან/და საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ქონების საჯარო პარტნიორისათვის საკუთრებაში გადაცემას, აგრეთვე შესაბამისი საფასურის საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები სხვა ფორმებით გადახდას.

საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ნებისმიერი გადახდის სახეების ერთობლიობას.

„ადგილობრივი დონეზე საჯარო სამსახურსა და არასამმართველო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

შეჯამება

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეზიუმეს სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ სოციალური მომსახურების სფეროში ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობას, შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ასეთი მომსახურებების ხარისხი და დაზოგოს მათთვის საჭირო დანახარჯები.

საქართველოს კანონმდებლობა მუნიციპალიტეტებს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებებს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა გადამწყვეტი თვალსაზრისით, ასევე ადგენს მრავალმხრივ მექანიზმებს ასეთი მომსახურებების გარე წყაროებიდან შესყიდვისათვის, მათ შორის, არასამმართველო იურიდიული პირების დაფინანსების სხვადასვა საშუალებებს.

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმები მეტ-ნაკლები წარმატებით გამოიყენება საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ. ამასთანავე, გვხვდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარმოებული სოციალური პროგრამები, რომლებიც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს ქმნიან და ამკვიდრებენ სახელმძღვანელო სტანდარტებს.

საქონლისა და მომსახურებების გარე წყაროებიდან შესყიდვის, მათ შორის, სოციალური მომსახურებების გარე დაფინანსების ძირითადი მექანიზმი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შესყიდვის საშუალებების გამოყენებაა. ამ საშუალებათაგან რამდენიმე უკეთ ერგება სოციალური მომსახურების სფეროს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში, სოციალური მომსახურებების სპეციფიკისთვის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება არაეფექტური და მოუქნელი მექანიზმია. სწორედ ამიტომ, საქართველოს კანონმდებლობა, რიგ შემთხვევებში, უშვებს გამონაკლისებს და ადგენს სოციალური მომსახურებების დაფინანსების სხვა შესაძლებლობებს. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი გამონაკლისი, რომელიც ვრცელდება ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანდაცვის და სოციალური მომსახურებების დაფინანსებაზე ასეთი მიზნობრივი რეგულირების ნათელი მაგალითია. ვაუჩერული დაფინანსების პრაქტიკა განსაკუთრებით ეფექტიანად გამოიყენება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ და ეს მუნიციპალური პროგრამები გვთავაზობს მრავალ სამართლებრივად გამართულ სტანდარტს, რომელიც სხვა მუნიციპალიტეტების მიერაც შესაძლოა წარმატებით იქნეს გამოყენებული.

გარე წყაროების მიერ წარმოებული სოციალური მომსახურების დაფინანსების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა არის ასევე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო დახმარების“ (სუბსიდირების) საგამონაკლისო ნორმები. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტი მეტ-ნაკლები წარმატებით იყენებს, როგორც ინდივიდუალურ მომხმარებლებზე გაცემული სუბსიდირების გზით სოციალური მომსახურებების დაფინანსების შესაძლებლობას, ასევე აფინანსებს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გადამწყვეტაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს ინდივიდუალური სუბსიდირების გზით. გზამკვლევაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სუბსიდირების პრაქტიკა უნდა ემყარებოდეს, გამჭვირვალე, ობიექტურ, კანონიერ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს, რომელთა რამდენიმე მაგალითი მოყვანილია წინა ქვეთავებში.

„საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 2018 წლის მაისიდან ამოქმედდა, ასევე საინტერესო ბერკეტებს სთავაზობს საჯარო და კერძო სტრუქტურებს, მათ შორის, არასამმართველო იურიდიულ პირებს, ერთობლივი პროგრამების

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სამართალსა და არასამხარებო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელებისათვის. ეს ახალი მექანიზმები იძლევა ფართო შესაძლებლობებს, საჯარო და კერძო დაფინანსების გზით წარმოებული იქნეს გრძელვადიანი პროექტები, მრავალ სფეროში, მათ შორის, სოციალური მომსახურებების დარგში. მართალია, იმ პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომელთა ღირებულება 5 მილიონ ლარს აღემატება, ბიუროკრატიულ პროცედურებთან არის დაკავშირებული, თუმცა, კანონის იმპლემენტაციისა და ახალი პრეცედენტების შექმნის შემდეგ, მოსალოდნელია ამ ბიუროკრატიის შემცირება. ამასთანავე, ბიუროკრატიულ ტვირთს აბალანსებს პროექტების განხორციელებისა და დაფინანსების მრავალფეროვანი შესაძლებლობები და ის გარანტიები, რომლებიც ამ დროს კერძო ორგანიზაციებს შესაძლოა მიენიჭოს. დამატებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონი იძლევა მცირე პროექტების განხორციელების შესაძლებლობასაც, რომელთა შედეგისა და შეთანხმების პროცედურა გაცილებით გამარტივებულია.

მითითებული ცენტრალური რეგულაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობით გათვალისწინებული ნორმატიული საფუძვლების გარდა, სოციალური მომსახურების სფეროში მნიშვნელოვან საფუძვლებს ქმნის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონით განსაზღვრული მუნიციპალური უფლებამოსილებები მნიშვნელოვანია შშმ პირთა უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისას. ამ სფეროში ძალიან საინტერესო მაგალითებს გვთავაზობს ქ. თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული საბიუჯეტო პროგრამები. თბილისის მაგალითი საინტერესოა იმით, რომ იგი იძლევა შესაძლებლობას შშმ პირთა მხადამჭერი ღონისძიებები დაფინანსდეს, როგორც ინდივიდუალური და საპროექტო განაცხადების დაფინანსების, ასევე სუბსიდირებისა და ვაუჩერული დაფინანსების მექანიზმების გამოყენებით. მცხეთის მაგალითი კი, გვთავაზობს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე გაცემული სუბსიდიების კარგ სტანდარტს, სადაც შეზღუდული არ არის პოტენციურ მიმწოდებელთა წრე და გადაწყვეტილება მიიღება გამჭვირვალე პროცედურით, მკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე.


ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და დარგობრივი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ასევე შექმნილია საბიუჯეტო პროგრამები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას ადგილობრივმა ხელისუფლებებმა სოციალური მომსახურებების განხორციელების მიზნით დააფინანსონ ა(ა)იპ-ების მიერ წარდგენილი პროექტები. ასეთი პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებები, როგორც წესი, მიიღება საკრებულოს მიერ დადგენილი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პროცედურით, ამისათვის შექმნილი სპეციალური, მონაწილეობითი და გამჭვირვალე კომისიების მიერ. გზამკვლევაში განხილულია რამდენიმე ასეთი მაგალითი, რომელიც შესაძლოა, საუკეთესო პრაქტიკად მივიჩნიოთ. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ „სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა“, „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროექტების თანადაფინანსების პროგრამა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესი;


საქართველოს რამდენიმე მუნიციპალიტეტი ასევე წარმატებით იყენებს არასამხარებო და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან პირდაპირი მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობებსაც, სოციალური მომსახურებების წარმოების მიზნით. ამის

„ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურების სფეროში“

მაგალითია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და „ვორლდ ვიჟენს საქართველოს“ მიერ წარმოებული „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსების ქვეპროგრამა.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობა მუნიციპალიტეტებსა და არასამეწარმეო იურიდიული პირების სოციალური მომსახურების სფეროში თანამშრომლობისათვის საკმაოდ მრავალფეროვან შესაძლებლობებს ქმნის. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა კონკრეტული გამოწვევების გადანაცვების პროცესში უნდა გადანაცვიტონ, თუ რომელი ბერკეტი და მექანიზმი იქნება ყველაზე რელევანტური და ეფექტიანი, ამა თუ იმ, სოციალური მომსახურების დაფინანსების პროცესში. ცენტრალურ დონეზე განსაზღვრული საკანონმდებლო მექანიზმებისა და ადგილობრივი პროგრამების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ინდივიდუალურად შეადგინონ და დაგეგმონ ადგილობრივი სოციალური პრობლემების გადანაცვების პროგრამები, იმ საკანონმდებლო ბერკეტების გამოყენებით, რომელიც ყველაზე უკეთ ერგება ადგილზე არსებულ გარემოებებს.


 42. ი.აბაშიძის ქ. 3 სადარბაზო,
2 სართული, ბინა. 28, თბილისი,
საქართველო, 0179

 +995 32 2 29 00 06

 www.asb.ge

 info@asb.ge

 ASBinGeorgia

 @ASB_GE